

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№17, ივნისი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2021

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია
მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

ს ა რ ზ ე ვ ი

1. ლელა ქოროლიშვილი. სოციალური მუშაობა ხანდაზმულებთან, არსებული გამოწვევები და საჭიროებები----- 4
2. მარიამ ალადოშვილი, თამარ ხუციშვილი. კოვიდპანდემია: ევროკავშირის გამოცდა კრიზისების მართვაში----- 15
3. თორნიკე ყრუაშვილი, ნიკოლოზ მახარობლიშვილი. “არამალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე -აშშ-სა და ჰონგ-კონგის შემთხვევები“----- 26



სოციალური მუშაობა ხანდაზმულებთან, არსებული გამოწვევები და საჭიროებები

ლელა ქოროღლიშვილი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: leluka.koroghlishvili@gmail.com

აბსტრაქტი

სოციალური მუშაობა არის პროფესია, რომლის ფუნდამენტური მიზანი ადამიანთა დახმარებაა. ამ მიზნის მისაღწევად პრაქტიკოსებს სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრებათ. ეს გულისხმობს ბენეფიციართა მორალურ გაძლიერებას, ადვოკატირებას, საჭირო მომსახურებასთან დაკავშირებას, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას და სხვა. ბუნებრივია, აღნიშნული უზრუნველყოფს მომსახურების მიმღებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების გამოვლენა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზები, როგორცაა რესურსების სიმწირე (ბენეფიციარზე მორგებული სერვისები, მრავალფეროვანი პროგრამების დეფიციტი), სათემო ორგანიზაციებში ბენეფიციართა ჩარიცხვის ეტაპზე პროცედურული ნაწილის გაუმართაობა, ხანდაზმულთა ჩაკეტილობა/სოციუმისგან იზოლაცია, სოციალურ მუშაკთა ტრანსპორტირების პრობლემა, ალტერნატიული სერვისის არ არსებობა პრობლემური ბენეფიციარებისთვის და სხვა. პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ჩარიცხვის პროცესის ყველა ეტაპი ხარვეზებით მიმდინარეობს და თავს იჩენენ ისეთი პრობლემები, როგორცაა სათემო ორგანიზაციაში ადგილების ნაკლებობა, ჩარიცხვის პროცესის დროში გაწელვა, ხანდაზმულთა გადანვეტილების ცვლილება (ოჯახის გავლენის საფუძველზე, რის შედეგადაც ისინი ოჯახებში რჩებიან), ალტერნატიული სერვისის არ არსებობა დამატებითი საჭიროების მქონე მომსახურების მიმღებთათვის (ხანდაზმულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიატრთა ჩართვის აუცილებლობა) და ასე შემდეგ. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პანდემიამ მეტად გაამძაფრა როგორც სოციალური მუშაკების, ისე ბენეფიციარების უკვე არსებული მდგომარეობა, რაც გამოიხატება როგორც სოციალური მუშაკების ვიზიტების რაოდენობის, ისე მომსახურების მიწოდების ხარისხის შემცირებაში.

საკვანძო სიტყვები: ხანდაზმულთა კეთილდღეობა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, სოციალურ მუშაკთა გამოწვევები, სათემო ორგანიზაციები, ხანდაზმულთა მომსახურებები.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

„არცერთი მოხუცი არ უნდა იყოს „განდევნილი“ ჩვენი ოჯახებიდან, ვინაიდან ხანდაზმული ადამიანები საზოგადოების საგანძურს წარმოადგენენ“ (Pope Francis, 2014). შეუძლებელია არ დავეთანხმოთ სიტყვებს, რომლებიც რომის 266-ე პაპს, ფრანცისკეს ეკუთვნის. თუმცა, ვერ ავცდებით იმ რეალობას, რომ ჩვენს ქვეყანაში ხანდაზმულთა გარკვეული ნაწილი ოჯახისგან გარიყული ხდება, რის შედეგადაც მათ ცხოვრების გაგრძელება სხვადასხვა ტიპის დანსებულებაში უწევთ. ამ კუთხით, საინტერესოა

2017 წელს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ ჩატარებული „ხანდაზმულთა დანესებულებებში ბენეფიციართა მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა“, სადაც ბევრი საგულისხმო გარემოება/ტენდენცია გამოიკვეთა. კვლევის შედეგების თანახმად, ხანდაზმულები სხვადასხვა ტიპის დანესებულებებში ხვდებიან ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა: საკუთარი საცხოვრებლის არქონა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე), ოჯახის წევრის გარდაცვლება, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, შევიწროება ოჯახის წევრების მხრიდან და ოჯახის წევრების გაუცხოება. ამას გარდა, თავს იჩენს ძალადობის სხვადასხვა ფორმები (ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, ფიზიკური) (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2017). არანაკლებ მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშები, სადაც ყურადღებაა გამახვილებული როგორც სოციალურ სერვისებსა და ადეკვატურ საცხოვრებელზე, ისე მიზნობრივი პროგრამებსა და თავშესაფრებში ბენეფიციართა რაოდენობაზე (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017). ასევე, შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ მოსახლეობის დაბერების საკითხზე, ვინაიდან ეს პროცესი ბოლო წლებში აქტუალობას არ კარგავს და პირდაპირ კავშირშია საკვლევ თემასთან. საქართველოს კანონის მიხედვით სახელმწიფო პენსიის შესახებ, ხანდაზმულად ითვლება ქალი - 60 წლიდან, ხოლო კაცი - 65 წლიდან. სწორედ ამ ასაკიდან გადიან მოქალაქეები სახელმწიფო პენსიაზე (საქართველოს პარლამენტი, 2005). 2020 წლის მონაცემების თანახმად, ქვეყანაში პენსიის მიმღებ (ასაკით პენსიონერ) ადამიანთა რაოდენობა გახლავთ 783.7 ათასი. გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშში კი ვკითხულობთ, რომ 2050 წლისთვის 60 წელს გადაცილებული პირების რაოდენობა მეტად გაიზრდება და 30 პროცენტს გადააჭარბებს (United Nations General Assembly, 2018). ბუნებრივია, ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ტიპის დანესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულთათვის ხარისხიანი სერვისის მიწოდებას და დღეს არსებული იმ გამოწვევების სრულფასოვნად გაანალიზებას, რომლებსაც სოციალური მუშაკები აწყდებიან ბენეფიციართა ამ ჯგუფთან პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში. ვინაიდან, ცვლილება და განვითარება შეუძლებელია არსებულის სრულფასოვნად გაანალიზების გარეშე. ჩემს მიერ განხორციელებული კვლევა მოგვცემს შესაძლებლობას გარკვეულწილად შეფასდეს არსებული პრობლემები და ის სისტემური ხარვეზები, რომლებიც განმსაზღვრელ ხელის შემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ ხანდაზმულთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქართული აკადემიური სფერო მოკლებულია რელევანტურ კვლევებს, რომლებიც ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროს შეეხება. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ძირითად შემთხვევებში, ხანდაზმულები და მათთან დაკავშირებული პრობლემები დამოუკიდებელ მკვლევართა თუ დამკვეთი ორგანიზაციებისათვის საინტერესო საკვლევ საკითხს არ წარმოადგენს. ეს კი გავლენას ახდენს, როგორც საზოგადოების ცნობიერების დონეზე და სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესზე, ისე თავად ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხზე. მოგვხსენებათ, რომ 2014 წელს საქართველოში განხორციელდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის მონაცემებზე დაყრდნობით

ვლინდება, რომ საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენდა 14,3 პროცენტს, ხოლო დღევანდელი (80 წლისა და მეტი ასაკის) მოსახლეობის წილი - 3,1 პროცენტს. რიცხვობრივად, ეს მაჩვენებელი შეესაბამება 530 000 და 115 000 პირს, რაც უდავოდ მაღალი მაჩვენებელია (ჭითანავა & ბრუნი, 2017). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ყოველი მეხუთე ადამიანი 60 წლის და მეტი ასაკისაა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მუშაკების მაქსიმალური ხელშეწყობა, რათა პრაქტიკოსებს მიეცეთ შესაძლებლობა დაბრკოლებების გარეშე შეასრულონ ის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც კანონით განესაზღვრებათ.

საქართველოს კანონის თანახმად, სოციალური მუშაობის შესახებ: „სოციალური მუშაობა არის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სპეციალობით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას“ (საქართველოს მთავრობა, 2018). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონის მესამე თავი სრულად შეეხება სოციალური მუშაკების როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ ფუნქციებს სხვადასხვა სფეროში. თუმცა, ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების ფუნქცია-მოვალეობები ამ დოკუმენტში ცალკე განხილული არ არის, რაც ვფიქრობ, საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. რაც შეეხება უშუალოდ ხანდაზმულთა სახლებს, მათი ფუნქციაა ასაკოვანი პირების ღირსეული სოციალიზაცია, რაშიც იგულისხმება მომსახურების მიმღებთა საცხოვრებელით აზრუნველყოფა, ეკონომიკური რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის დაცვა, არაძალადობრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა და სხვა (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2017). 1999 წელს ჩატარებული კვლევაში, რომელიც საქართველოში მოსახლეობის დაბერებას შეისწავლიდა, ვკითხულობთ: „საქართველოში ტრადიციულად მოხუცები ღრმა პატივისცემის საგანნი იყვნენ. ამდენად, ოჯახი, როგორც უნდა გასჭირვებოდა, ძნელად იმეტებდა მოხუცს მოხუცთა სახლებისთვის. ამიტომ იყო, რომ 1989 წელს, 7 მოხუცთა და ინვალიდთა სახლის 1050 ადგილიდან, ათვისებული იყო მხოლოდ 766.“ (შელია, 1999, გვ.: 70-71). ამავე ნაშრომში ნათქვამია, რომ 90-იანი წლების საყოველთაო გაჭირვების გამო ხანდაზმულთა სახლებში მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა, თუმცა ადრე მოქმედი 7 დაწესებულებიდან 1998 წლისთვის მხოლოდ ორი დარჩა, რომლებიც მდებარეობს თბილისსა და ქუთაისში. აღნიშნული ორი დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება დღესაც ფუნქციონირებს და ბოლო მონაცემებით, ორივე მათგანში განთავსებულია 161 მომსახურების მიმღები. აქვე უნდა ითქვას, რომ 2012 წლიდან „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში“ გათვალისწინებულ „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ახალ სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სწორედ ხანდაზმული პირები. მეტი სიცხადისთვის, უნდა განიმარტოს, რომ როგორც ხანდაზმულთა პანსიონატებში, ისე სათემო ორგანიზაციებში, ხანდაზმული პირების მოთავსებისა და დაწესებულებიდან მათი გაყვანის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. ხოლო, სოციალური მუშაკის

შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში როგორც ხანდაზმულთა, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატებში გადაუდებელი წესით განთავსებაზე, სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს თავმჯომარე (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2017). საინტერესოა, რამდენად ხერხდება განხილული საკითხების პრაქტიკაში განხორციელება. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების გაცნობისას, ჩემი ყურადღება ერთმა მნიშვნელოვანმა საკითხმა მიიქცია, რის მიხედვითაც ხანდაზმულთა მოთხოვნას თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ, ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედი სპეციალური სადღეღამისო მომსახურება. მაგალითად, თბილისის რეზიდენტულ დაწესებულებაში დროდადრო ცხადდება მორატორიუმი, ვინაიდან, ბენეფიციართა ჩარიცხვა ვერ ხერხდება გადატვირთულობის მიზეზით. „ხანდაზმულთა თავშესაფრით უზრუნველყოფაზე არსებულ მოთხოვნას ასევე ვერ ფარავს ქვეყანაში მოქმედი სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურება.“ - ნათქვამია ომბუდსმენის ანგარიშში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017). აღნიშნულ პრობლემას ხაზი გაუსვს ჩემს მიერ გამოკითხულმა რესპონდენტებმაც. გარდა ამისა, აუცილებელია განვიხილოთ ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითი, რომლის მიხედვითაც სათემო მომსახურების ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლა მხოლოდ 130-მა ხანდაზმულმა, ხოლო ამავე მომსახურების მომლოდინეთა რიგში კიდევ 80 ადამიანი ფიქრისრდებოდა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017). საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2019 წლის ოქტომბერში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა, პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად განხორციელეს საქართველოში არსებული რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგი, რის შედეგადაც სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა სათანადოდ არ არის დაცული. გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სპეციალიზებული დაწესებულებების ბენეფიციარებს არ მიუწვდებოდათ ხელი სოციალური მუშაკის მომსახურებაზე. აღნიშნული დარგის სპეციალისტი არც მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობაში იყო ჩართული, რომელიც შეიმუშავებს ბენეფიციარის ინდივიდუალური მომსახურების გეგმას. ასეთ პირობებში, ეჭვქვეშ დგება მსგავსი გეგმების კვალიფიციურობის საკითხი“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). აღნიშნული განცხადების საფუძველზე, მეტად საგულისხმოა სოციალური მუშაკების პოზიცია გამოვლენილ პრობლემებთან მიმართებაში. ამას გარდა, აუცილებლად უნდა გამოიყოს ოჯახის წევრების მხრიდან პენსიაზე წვდომის მიზნით ხანდაზმულებზე ძალადობის საკითხი. თავდაპირველად, განვსაზღვროთ, თუ რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა. საქართველოს კანონის მიხედვით, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობის აღკვეთას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“ (საქართველოს პრეზიდენტი, 2006). აქვე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ, თუ რა სახის კანონიერი ბერკეტი გააჩნიათ პრაქტიკოსებს ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირების შემდეგ. აღნიშნული კანონი

გვთავაზობს ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმებს, რის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის გამოიყენება სამი სახის მექანიზმი, ესენია: სისხლისსამართლებრივი (როდესაც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს), სამოქალაქო-სამართლებრივი (ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით) და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (გამოიყენება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის სახით) (UNFPA, 2010). შემთხვევაზე მუშაობისას, ოჯახის წევრების მხრიდან ხანდაზმულზე ძალადობრივი ქმედების გამოვლინების შემდეგ, უმნიშვნელოვანესია მულტისექტორული მუშაობა, ვინაიდან, მულტისექტორული რეაგირება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გულისხმობს როგორც სოციალური მუშაკის, ისე პოლიციისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ეფექტურ და კოორდინირებულ ჩართვასა და რეაგირებას (კუპატაძე & ნებიერიძე, 2018).

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ოფიციალურ კანონში სოციალური მუშაობის შესახებ, ცალკე განწერილი არ არის ხანდაზმულთა სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების ფუნქციები, შევცდები ამავე კანონში აღწერილი ძირითადი მოვალეობებიდან გამოვყო ის საკითხები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება ჩემს საკვლევ თემას. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ სოციალური მუშაკის ფუნქცია იზრუნოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისა და მისი უფლებების დაცვაზე. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ადვოკატირება და მოახდინოს მომსახურების მიმღების მაქსიმალური მხარდაჭერა. ასევე, მისი ვალდებულებაა ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საზოგადოების მისწრაფების გააქტიურება განვითარებისკენ. გარდა ამისა, სოციალური მუშაკების საქმიანობა მოიცავს ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებასა და მათში ჩართვას, ვინაიდან ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომსახურების მიმღებთა ცხოვრების ხარისხზე (საქართველოს მთავრობა, 2018). საინტერესოა, როგორია დღეს მოღვაწე სოციალური მუშაკების რეალობა და ემთხვევა თუ არა თეორიული ნაწილი დღეს არსებულ პრაქტიკას. მოგეხსენებათ, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ერთ-ერთი მთავარი ორგანოა ხანდაზმულეთან მუშაობის თვალსაზრისით, რადგან სწორედ მას გადაეცა ხანდაზმულთა დაწესებულებებზე ზედამხედველობის უფლება. აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევა აღნიშნულ სააგენტოში მომუშავე სოციალურ მუშაკებზე ჩატარდა.

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს ხანდაზმულთა კეთილდღეობის მიმართულებით სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების გამოწვევებისა და პრობლემების (რესურსების სიმწირე, სათემო ორგანიზაციებში ბენეფიციართა ჩარიცხვის ეტაპზე პროცედურული ნაწილის გაუმართაობა, ტრანსპორტირება და სხვა საკითხები) ანალიზი. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. დავადგინოთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკები პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში.
2. ვიკვლიოთ, თუ რა პრობლემები ვლინდება ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროში და რა ტიპის მხარდაჭერას ახორციელებს სახელმწიფო ამ მიმართულებით.
3. შევისწავლოთ, თუ რაში ხედავენ გამოსავალს პროფესიონალი პრაქტიკოსები დასმული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ხანდაზმულთა კეთილდღეობის მიმართულებით მომუშავე 6 სოციალურ მუშაკთან. კვლევა ჩატარდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით.

პანდემიისგან გამონვეული რეგულაციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა ის, რომ ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. იმისათვის, რომ შეზღუდვებისგან გამონვეული ზარალი მაქსიმალურად შემცირებულიყო, ინტერაქცია სატელეფონო კომუნიკაციის ნაცვლად შედგა ზუმის პლატფორმაზე, სადაც სიღრმისეული ინტერვიუს ძირითადი მოთხოვნები მაქსიმალურად იქნა დაკმაყოფილებული. შემდგომ ეტაპზე კი მომზადდა ტრანსკრიპტები, რის საფუძველზეც მოხდა მონაცემების სრულფასოვანი დამუშავება/კოდირება.

კვლევის შედეგები

ჩემს მიერ გამოკითხულ რესპონდენტებთან ინტერვიუს დროს, გამოვლინდა გარკვეულ პრობლემათა ტენდენციები. პირველი, რასაც ყოველმა მათგანმა გაუსვა ხაზი გახლავთ დოკუმენტების შეგროვებისა და ბენეფიციართა სათემო ორგანიზაციაში ჩარიცხვის ეტაპი, იგივე პროცედურული ნაწილი, რომელიც დროში გაწელილია. აღნიშნული ხანდაზმულთათვის რთულ პროცესს წარმოადგენს. რესპონდენტები იხსენებენ ისეთ მძიმე ფაქტებსაც, როდესაც სათემო ორგანიზაციაში ჩარიცხვის მსურველი ხანდაზმულის პროცედურული ეტაპი იმდენად დიდ ხანს გაგრძელდა, რომ თანხმობის მოსვლის შემდეგ, ვიზიტისას, ბენეფიციარი გარდაცვლილი დახვდათ. რესპონდენტთა თქმით, ამ კუთხით არსებული მდგომარეობა გამწვავდა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. უდავოა, რომ აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ ფუნდამენტურ სისტემურ ხარვეზზე, რომელსაც შესწევს უნარი დიდი გავლენა მოახდინოს ხანდაზმულთა ცხოვრებაზე. აქვე იკვეთება ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. აღნიშნული პროცესის გაუმართაობის გამო, ხანდაზმულები ხშირად იცვლიან გადაწყვეტილებას, რაშიც ცხადად ჩანს ოჯახის გავლენა. რესპონდენტი იხსენებს ერთ-ერთ შემთხვევას და აღნიშნავს, რომ ხშირად ოჯახის წევრებს არ სურთ, ხანდაზმული გადავიდეს სათემო ორგანიზაციაში, რადგან პენსიასთან წვდომა არ დაკარგონ. ხანდაზმულის აზრის შესაცვლელად კი ყველა შესაძლებლობას იყენებენ. გამოვლენილ პრობლემათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ოჯახში ძალადობის საკითხი, ვინაიდან ოჯახის წევრები ხშირად სხვადასხვა ტიპის ძალადობის სახეებს იყენებენ ხანდაზმულთა მიმართ, იმ მიზნით, რომ მიისაკუთრონ მათი პენსია. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მსგავსი შემთხვევების დროს, რჩებიან გამოუვალ მდგომარეობაში. ამავე საკითხს ეხმაურება სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც,

„მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოველმომცველი მიდგომა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, აუცილებელია სოციალური მუშაკების რესურსის გაზრდა მსხვერპლთა სათანადოდ მხარდასაჭერად და ინტერესების დასაცავად“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). ჩემს მიერ განხილული ლიტერატურის საფუძველზე კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშულ პრობლემასთან გამკლავება შეუძლებელია მულტისექტორული მუშაობის გარეშე.

ხაზგასასმელია რესურსების სიმწირის საკითხიც. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს აქვს მხოლოდ ერთი პროგრამა (სათემო ორგანიზაციები), რომელიც შეუძლია შესთავაზოს ბენეფიციარებს. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სათემო ორგანიზაციაში დაკმაყოფილებულია მხოლოდ ბაზისური საჭიროებები, ისიც მინიმალურ დონეზე. ასევე, ბენეფიციართა რაოდენობა არის ლიმიტირებული. სწორედ იმიტომ, რომ ბენეფიციართა რაოდენობა განსაზღვრულია, ძირითად შემთხვევებში, ვერ ხერხდება შემოსული განცხადებების სრულად დაკმაყოფილება. შესაძლოა დაუჭერებლადაც უღერდეს, თუმცა ჩემს მიერ გამოკითხული სოციალური მუშაკების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ ზოგჯერ უნევთ დალოდება, რათა რომელიმე ხანდაზმული გარდაიცვალოს და სათემო ორგანიზაციაში მის ადგილას სხვა ბენეფიციარის შეყვანა შეძლოს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ თავშესაფრებში ადგილების რაოდენობაზე სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

„ვისურვებდი, შემეძლოს ყველა ბენეფიციარის დაბინავება, მაგრამ ამის შესაძლებლობა ფიზიკურად არ არის.“ - ნათია, სოციალური მუშაკი 6/05/21.

ამას გარდა, რესპონდენტები ხაზს უსვამენ ტრანსპორტირების პრობლემას და აღნიშნავენ, რომ მათ ხშირად უნევთ საკუთარი ხარჯებით გადაადგილება, ვინაიდან სამგზავრო ბარათზე ყოველთვიურად მხოლოდ 20 ლარი ერიცხებათ, რაც საკმარისი არ არის. სააგენტოს პრაქტიკოსებისთვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი მანქანა, რომელიც „თითქმის ყოველთვის დაკავებულია“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოციალური მუშაკები ხშირად უნდა ახორციელებდნენ ბენეფიციარებთან ვიზიტს, რათა სრულფასოვნად აწარმოონ ზედამხედველობის პროცესი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ტრანსპორტირების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ვინაიდან იგი ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებსთვის. ასევე, სოციალურმა მუშაკებმა გამოკვეთეს ალტერნატიული სერვისის არ არსებობის საკითხი ისეთი ხანდაზმულებისთვის, რომლებიც ვერ ეგუებიან სათემო ორგანიზაციის პირობებსა და გარემოს. ჩემი რესპონდენტის თქმით ერთ-ერთი ხანდაზმული ჩარიცხვიდან ორ კვირაში წამოვიდა ორგანიზაციიდან, რადგან დაავადებულ ბენეფიციარებთან ვერ შეძლო ინტეგრაცია. ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზი ამ მიმართულებით. რაშიც იგულისხმება ის, რომ ხანდაზმულთა დანესებულებებში მცხოვრებ ბენეფიციარებს აქვთ სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური პრობლემები. თუმცა, აღნიშნულ ინსტიტუციებში ფსიქიატრის მომსახურება

ხელმისაწვდომი არ არის. შესაბამისად, სოციალურ მუშაკებს უნევთ მომსახურების მიწოდება გააგრძელონ ბენეფიციარების ფსიქიკური ჯანმრთელობის აუცილებელ პროგრამებში ჩართვის გარეშე, რაც ერთობ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მათთვის. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). შეუძლებელია არ ვისაუბროთ ხანდაზმულთა ჩაკეტილობის პრობლემაზე. აღნიშნული საკითხი საკმაოდ საგულისხმო გამოწვევას წარმოადგენს სოციალური მუშაკებისთვის, ვინაიდან, ამ მიზნით მათ უჭირთ ბენეფიციართა ნდობის მოპოვება. ეს კი ბუნებრივია, აისახება ხანდაზმულთა სოციალიზაციის ხარისხზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მომსახურების მიმღებებს უჭირთ გულახდილი კომუნიკაცია სოციალურ მუშაკებთან, რადგან არ აქვთ მათი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლების იმედი. ერთ-ერთი პრაქტიკოსის თქმით, ბენეფიციარებს არ აქვთ განცდა, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს. შესაბამისად, სოციალურ მუშაკებს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ვერ ენდობიან. რა თქმა უნდა, გარდა საკვებისა და ჰიგიენური საშუალებებისა, ხანდაზმულებს სჭირდებათ, რომ თავი ქმედითად, მნიშვნელოვნად იგრძნონ. გარდა ამისა, ბენეფიციართა ნდობის პრობლემას ამწვავებს ის, რომ პრაქტიკოსები მათთან ვიზიტებს საჭიროების შესაბამისი ინტენსივობით ვერ ახორციელებენ, რაც ბუნებრივია, აისახება ინტერაქციაზე. ამავე საკითხს ებმის გამოწვევა, რომელიც სათემო ორგანიზაციების მდებარეობას შეეხება, რადგან მათი უმეტესობა ქალაქიდან მოშორებით მდებარეობს. ეს უდავოდ აისახება ხანდაზმულთა „გარიყულობის“ საკითხზე. იმ ბენეფიციართა მენტალური მდგომარეობისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ უნარი და სურვილი სოციალიზაციისა, აღნიშნული ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია. ვინაიდან, მიუხედავად მათი სურვილისა, უჭირთ თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან ნაწილად. რესპონდენტების თქმით, ისინი მონყვეტილნი არიან სოციუმს და ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, რის შედეგადაც უმძიმდებათ ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ეს კი უდავოდ წარმოადგენს გამოწვევას როგორც სოციალური მუშაკებისთვის, ისე მომსახურების მიმღებთათვის.

ამასთან, კიდევ ერთი გამოვლენილ საკითხთაგანი გახლავთ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მუშაკის ფუნქციის გაუმრავლობა ხანდაზმულთა კეთილდღეობის მიმართულებით. ჩემს მიერ გამოკითხული სოციალური მუშაკები ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნულ გამოწვევას განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს. მათი თქმით, ხშირად უნევთ „ამტკიცონ“ საკუთარი ფუნქციამოვალეობების მნიშვნელობა ხანდაზმულთა სფეროში. რაც რა თქმა უნდა, არასასურველ მოვლენას წარმოადგენს და გავლენას ახდენს როგორც მომსახურების მიწოდების ხარისხზე, ისე პრაქტიკოსთა ღირსებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ამასთანავე, პრაქტიკოსები საუბრობენ მომსახურე პერსონალის არასათანადო მომზადებაზე, დაბალ ანაზღაურებასა და მოტივაციის ნაკლებობაზე. გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა პერსონალის მომზადების არასათანადო ხარისხი, დაბალი ანაზღაურება, და აქედან გამომდინარე, მოტივაციის ნაკლებობა. აღნიშნულ საკითხს ეხმაურება სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც აქცენტი გაკეთებულია სამედიცინო პერსონალის (ექიმების, ექთნების) და მომვლელების დაბალ ანაზღაურებაზე. აქვე, აღნიშნულია, რომ

ანაზრაულება არ არის განუღი შრომის შესაბამისად. ეს ფაქტორი პირდაპირ გავლენას ახდენს პერსონალის მოტივაციაზე, რათა მათ გასწიონ ხარისხიანი მომსახურება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ტრენინგების, სემინარებისა და ვორქშოფების ნაკლებობის საკითხი. პრობლემა თავს იჩენს როგორც სოციალური მუშაკების, ისე სათემო ორგანიზაციების მომსახურე პერსონალის შემთხვევაში. სახალხო დამცველის ანგარიში ამ საკითხსაც ეხმიანება. გთავაზობთ ამონარიდს: „პერსონალს ხანდაზმულ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების ტრენინგები/სემინარები/კურსები არ უტარდება. მნიშვნელოვანია, მომუშავე სამედიცინო და სხვა პერსონალს მეტი შესაძლებლობა მიეცეს უწყვეტი პროფესიონალური განათლების მისაღებად” (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). ჩემს მიერ გამოკითხული რესპონდენტების თქმით, აღნიშნული პირდაპირ კავშირშია პროფესიულ განვითარებასა და ზრდასთან, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის სფეროში.

დასკვნა

ხანდაზმულთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების გამოწვევების კვლევის შედეგად, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავანალიზოთ სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან დანახული სხვადასხვა პრობლემები. კვლევაში გამოვლენილი გამოწვევები გახლდათ: რესურსების სიმწირე (ბენეფიციარზე მორგებული სერვისებისა და მრავალფეროვანი პროგრამების დეფიციტი), სათემო ორგანიზაციებში ბენეფიციართა ჩარიცხვის ეტაპზე პროცედურული ნაწილის გაუმართაობა, ოჯახის წევრების მხრიდან ხანდაზმულზე ძალადობა პენსიაზე წვდომის მიზნით, ხანდაზმულთა სოციუმისგან იზოლაცია/ჩაკეტილობა, სოციალური მუშაკებისა და ბენეფიციარების ტრანსპორტირების პრობლემა, ალტერნატიული სერვისების არ არსებობა პრობლემური ბენეფიციარებისთვის, სოციალურ მუშაკთა ფუნქციის გაუზრებლობა სახელმწიფოს მხრიდან, მომსახურე პერსონალთან (ექიმებთან, ექთნებთან, მომვლელებთან) დაკავშირებული პრობლემები, ტრენინგების/სემინარების/ვორქშოფების ნაკლებობა.

უდავოა, რომ კვლევის შედეგად მიღებული პრობლემების გაანალიზება სფეროს განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან, მხოლოდ ასეა შესაძლებელი მათი დაძლევა/შეცვლა და განვითარებისკენ სწრაფვა. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ინტერვიუების წარმართვის პროცესში გამოვლინდა. რესპონდენტებს ხშირად უჭირდათ საკუთარი პრობლემების იდენტიფიცირება. კონკრეტულად, როდესაც კითხვა გულისხმობდა საკუთარი, როგორც სოციალური მუშაკის გამოწვევების განსაზღვრას, პასუხი კვლავ შეეხებოდა ხანდაზმულთა, მომსახურე პერსონალთა ან სისტემურ პრობლემებს. შესაბამისად, საკვლევი თემის შესაბამისი პასუხების მისაღებად სხვადასხვა ფორმულირებით დაისვა კითხვები. ვფიქრობ, აღნიშნულმა საკითხმა შესაძლოა საფუძველი დაუდოს ახალ კვლევას, რომელიც სოციალური მუშაკების მხრიდან საკუთარ გამოწვევათა იდენტიფიცირების პრობლემას შეისწავლის.

Bibliography

- ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. (2017). *ხანდაზმულთა დანესებულებებში ბენეფიციართა მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა*. Retrieved from <https://apk.ge/storage/files/doc/...pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. Retrieved from <https://www.ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi>
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2019). *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. Retrieved from <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>
- human rights by older persons on her mission to Georgia*. Retrieved from file:///C:/Users/popp/Downloads/A_HRC_39_50_Add.1-EN.pdf
- საქართველოს პარლამენტი. (2005). *საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/27946?publication=29>
- ჭითანავა, მ., & ბრუნი, ბ. დ. (2017). *მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში*. Retrieved from http://census.ge/files/results/publication/ge/2.%20Ageing_GEO_Print%20_F_0.pdf
- საქართველოს მთავრობა. (2018). *საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4231958/0/ge/pdf>
- საქართველოს პრეზიდენტი. (2006, მაისი 25). *საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/download/26422/3/ge/pdf>
- UNFPA Georgia. (2010). *ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული*. Retrieved from https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Collection%20of%20Normative%20Acts%20on%20DV-geo_0.pdf
- ნებიერიძე, ე., & კუპატაძე, თ. (2018). *მულტიმეტრონული რეაგირება ოჯახში ძალადობის დასაძლევად - საერთაშორისო და ადგილობრივი პერსპექტივა*. Retrieved from <https://openscience.ge/bitstream/1/1476/1/MA%20Thesis.%20Kupatadze.%20%20socmuS.pdf>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა*. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>
- შელია, მ. (1999). *მოსახლეობის დაბერება საქართველოში*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.



კოვიდპანდემია: ევროკავშირის გამოცდა კრიზისების მართვაში

**მარიამ ალადოშვილი
თამარ ხუციშვილი**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tamar.khutsishvili805@sps.tsu.edu.ge.

E-mail: aladoshvili@gmail.com

აბსტრაქტი

ეკონომიკური კრიზისი და ასევე ათასობით მსხვერპლი სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე ევროკავშირი არ იყო მზად, შეემუშაებინა და გაეტარებინა პანდემიასთან ბრძოლის ეფექტური, სწრაფი და რაც მთავარია - ერთიანი პოლიტიკა. ამდენად, მოცემული კვლევის მიზანი იყო, შესწავლილიყო ის ფაქტორები, რომელთაც კორონაპანდემიასთან ევროკავშირის არაეფექტური ბრძოლა განაპირობებს.

კვლევის პარალელურად დადგინდა, რომ ევროკავშირის პანდემიასთან ბრძოლის მთავარი პრობლემატიკა მის არაკოორდინირებულ პოლიტიკაში მდგომარეობდა, ამიტომ ჩვენი მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად განისაზღვრა - რატომ ვერ შეძლო ევროკავშირმა კოორდინირებული პოლიტიკის გატარება? მოცემული ნაშრომის, როგორც მაინტერპრეტირებელი casestudy-ის თეორიულ ჩარჩოდ კი ინტერგოვერმენტალიზმის თეორია შეირჩა.

გერმანიის მიერ შვეიცარიაში 2020 წლის 4 მარტს შიშობა და სამედიცინო ინვენტარის ექსპორტის აკრძალვა, ამავე პერიოდში ჩეხეთის, ესპანეთის, მალტისა და სლოვაკეთის მიერ ევროკავშირის ზოგიერთ წევრთათვის საზღვრების ცალმხრივად დაკეტვა და ა. შ. - გაერთიანების წევრთა მიერ გადადგმული სწორედ ის ნაბიჯებია, რომლებიც ევროკავშირში სუპრანაციონალური და ეროვნული ინტერესების დაპირისპირების ილუსტრაციად გვევლინება. შესაბამისად, კვლევის მიზანმიმართულად შემდგენილი ჩამოყალიბდა - ევროკავშირის არაკოორდინირებული პოლიტიკა გამოიწვია წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნული ინტერესების სუპრანაციონალურ ინტერესებზე წინ დაყენებამ.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, პანდემია, ინტერგოვერმენტალიზმი, კრიზისი

შესავალი

კოვიდპანდემია დაიწყო როგორც ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა, რომელიც მალევე გლობალურ კრიზისში გადაიზარდა და თითქმის ყველა სფერო მოიცვა. 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირებულია კორონავირუსით ინფიცირების თითქმის 194 მილიონი შემთხვევა, ხოლო გარდაცვლილია 4 მილიონზე მეტი ადამიანი (worldometers.info). ცალკე აღნიშვნას საჭიროებს პანდემიის ეკონომიკური შედეგები. კერძოდ, გლობალური ეკონომიკა საუკუნის ყველაზე მძიმე რეცესიაში ჩაეშვა, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობის და უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები (worldbank.org). რომ აღარაფერი ვთქვათ, გამოწვევებზე განათლებისა და კულტურის სფეროებში.

ამასთან, პანდემია იმ ინდიკატორად იქცა, რომელმაც ცალკეული სახელმწიფოების თუ გაერთიანებების ძირითადი სისუსტეები გამოააშკარავა. ამის ნათელი და მეტად საინტერესო მაგალითია ევროკავშირი, რომელიც პანდემიის დასაწყისიდანვე ცხარე კრიტიკის ობიექტად იქცა. დღევანდელი მაჩვენებლით, პანდემიამ ევროკავშირის მასშტაბით თითქმის 742 847 ადამიანი შეინარა (ecdc.europa.eu), პანდემიის პირველ ნახევარში კი გაერთიანების ეკონომიკური აქტივობის კლებამ 11,4 % შეადგინა, რაც ევროკავშირის ისტორიაში უპრეცედენტო რეცესიას წარმოადგენს.

შედარებისთვის, 2009 წლის ფინანსური კრიზისის დროს კლების მაჩვენებელი მხოლოდ 4,3%-ს შეადგენდა (Lloyd 2020). მართალია, პანდემია მსოფლიოს ყველა წერტილს შეეხო, თუმცაღა, ევროპის რეგიონისთვის მისი შედეგები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. როგორც ინფიცირების შემთხვევების, ისე გარდაცვლილთა ოდენობის მიხედვით, დღემდე ევროპა მხოლოდ ამერიკას ჩამორჩება (WHO 2021). ამგვარად, ეკონომიკური კრიზისი და ასევე ათასობით მსხვერპლი სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე ევროკავშირი არ იყო მზად, შეემუშავებინა და გაეტარებინა პანდემიასთან ბრძოლის ეფექტური, სწრაფი და რაც მთავარია - ერთიანი პოლიტიკა. უშუალოდ ჩვენი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ, თუ რა ფაქტორებითაა განპირობებული ევროკავშირის არაეფექტური ბრძოლა კორონავირუსის პანდემიასთან. კვლევის საწყის ეტაპზე დადგინდა, რომ არაეფექტურობის მთავარი მიზეზი სწორედ წვერი სახელმწიფოების არაკოორდინირებულ მოქმედებაში მდგომარეობდა:

პანდემიის დასაწყისშივე ევროპელი ლიდერები და მკვლევრები ევროკავშირს არაკოორდინირებულ მოქმედებაში ღიად სდებდნენ ბრალს და მოსალოდნელ საფაღალო შედეგებზე მიუთითებდნენ, რამდენადაც თავიდანვე ნათელი იყო, რომ გაერთიანებას ბრძოლის ერთიანი სტრატეგია არ ჰქონდა (Laurent 2020). 2020 წლის 6 მარტს ევროკავშირის ჯანდაცვის მინისტრების შეხვედრაზე საბერძნეთის წარმომადგენელმა, ვასილის კიკილიასმა განაცხადა, რომ სირცხვილია, რომ გაზეთებიდან ეცნობა იმ გადანაცვებებს, რომლებსაც სხვა წევრები იღებენ (Paunand Deutsch 2020). მართლაც, წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს არაშეთანხმებული, ზოგჯერ კი სულაც წინააღმდეგობრივი მიდგომები და ფაქტობრივად უკუაგდეს ევროკავშირის სპეციალიზირებული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც სწორედ ჯანდაცვის საერთაშორისო რისკებთან გასამკლავებლად შეიმუშავდა (Alemanno 2020). ამდენად, მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა- რატომ ვერ შეძლო ევროკავშირმა კოორდინირებული პოლიტიკის გატარება?

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ევროკავშირის არაშეთანხმებული პოლიტიკა გამოიწვია წვერი სახელმწიფოების მიერ ეროვნული ინტერესების სუპრანაციონალურ ინტერესებზე წინ დაყენებამ.

მეთოდოლოგია

საკვლევი კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო გახდა თვისებრივი კვლევის ჩატარება. კვლევისას შესწავლილ პირველად წყაროებს მიეკუთვნება ევროკომისიის, ევროპარლამენტის, ევროპული საბჭოს, ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, ასევე ცალკეული პოლიტიკოსების განცხადებები. რაც შეეხება მეორეულ წყაროებს, ისინი აერთიანებენ დარგის ექსპერტთა სამეცნიერო პუბლიკაციებსა და გავლენიანი საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალების სტატიებს.

მოცემული კვლევა წარმოადგენს მაინტერპრეტირებელ Casestudy-ს რომელიც გულისხმობს საკითხის ღრმა და მრავლისმომცველ შესწავლას, რომლის დროსაც ხდება მოვლენის ინტერპრეტირება უკვე არსებული თეორიის დაკავშირებით საკვლევი სინამდვილესთან (ბურძენიძე, 2010). მოცემული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ შეირჩა ინტერგოვერმენტალიზმის თეორია, რომელიც ნეოფუნქციონალიზმზე საპასუხოდ შეიქმნა და ეფუძნება რეალიზმის მთავარ დებულებებს.

ინტერგოვერნმენტალიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ამერიკელ-ავსტრიელი მეცნიერი სტენლი ჰომანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ევროპის ინტეგრაციას ხარისხსა და სიჩქარეს განსაზღვრავდნენ წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მისი აზრით, ინტეგრაცია შედარებით მარტივად წარიმართებოდა ეკონომიკის სფეროში („დაბალი პოლიტიკა“), მაგრამ არა მაღალი პოლიტიკის სფეროში (უსაფრთხოებისა და თავდაცვის არე), სადაც სასწორზე ეროვნული ინტერესები ძევს. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოებისთვის მათი ეროვნული ინტერესები ყოველთვის უფრო მეტადაა პრიორიტეტული, ვიდრე გაერთიანების საერთო მიზნები (Hoffman, 1995).

ლიტერატურის მიმოხილვა

ევროკავშირის პანდემიასთან ბრძოლის პოლიტიკა არაერთი მკვლევარის ინტერესის ობიექტად იქცა. ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელსაც პასუხობენ ავტორები, იმაში მდგომარეობს, შეეძლო თუ არა ევროკავშირს, გაეტარებინა ერთიანი და შეთანხმებული პოლიტიკა მაშინ, როდესაც ჯანდაცვა უშუალოდ ეროვნული მთავრობების კომპეტენციის სფეროშია. ალბერტო ალემანო, იტალიელი აკადემიკოსი და ექსპერტი ევროკავშირის სამართლის დარგში, თავის კვლევით ნაშრომში აღნიშნავს, რომ განსხვავებული და არაშეთანხმებული ეროვნული მიდგომების აღმოცენება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ჯანდაცვის სფეროში ევროკავშირის შეზღუდული კომპეტენციის შედეგი.

კერძოდ, ატიპური პნევმონიის და H1N1-ის აფეთქების შემდეგ შეიქმნა ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ჯანდაცვის სფეროში საგანგებო მდგომარეობის განვითარების შემთხვევაში ევროკავშირს წევრი სახელმწიფოების მოქმედებების კოორდინირების შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნულ სფეროში ხელმძღვანელობა მინიჭებული აქვს ჯანდაცვის კომიტეტს, რომელიც 2001 წლიდან არსებობს და ჯანდაცვის მინისტრებს აერთიანებს. სწორედ მათი ეგიდით უნდა მოხდეს წევრი სახელმწიფოების და კომისიის კონსულტაცია შეთანხმებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით. 2020 წლის მარტის შუა რიცხვებამდე კი მსგავსი არაფერი მომხდარა: სახელმწიფოები არ შეთანხმებულან კოორდინირებული ზომების მიღებაზე და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება გადაწყვიტეს (Alemanno, 2020).

ნამყან ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო გამოცემაში, კერძოდ, რისკების რეგულაციის ევროპულ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორები ასევე ირწმუნებიან, რომ ევროკავშირს პანდემიასთან ბრძოლის საკმაოდ ფართო კომპეტენცია გააჩნია, შესაბამისად ამ ქეისში სამართლებრივი შეზღუდვა დაბრკოლება ვერ იქნებოდა. თუმცა, არსებობდა თუ არა კოორდინირებული ზომების გატარების პოლიტიკური ნება, ავტორების თქმით, უკვე სხვა საკითხია (PURNHAGEN et al. 2020).

ევროკავშირის შიგნით არაკოორდინირებული პოლიტიკის კონკრეტული მაგალითები ნათლადაა წარმოდგენილი Politico-ს ანგარიშში. ანგარიში იუნყება, რომ მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, არც თვითონ გაერთიანება და არც ცალკეული წევრები არ იყვნენ მზად პანდემიასთან საბრძოლველად. ერთიანი სტრატეგიის არარსებობის გარდა, არ იყო აღწერილი სამედიცინო ინვენტარის, საწოლების და პირბადეების ზუსტი ოდენობა. მხოლოდ მაშინ დაიწყო განგაშის ზარების რეკვა, როცა იტალიაში ეპიდაფეთქება დაიწყო. როდესაც იტალიის მთავრობამ დახმარება ითხოვა,

სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ ევროპაში ზემოთ აღწერილი საშუალებები მწვავე დეფიციტში იყო. როდესაც აშკარა გახდა გარკვეული ზომების მიღების საჭიროება, სახელმწიფოებმა ნელი, ქაოტური და ეგოისტური გადაწყვეტილებების მიღება დაიწყეს.

2020 წლის 3 მარტს საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ საკუთარი კონტროლის ქვეშ იღებდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების წარმოებას და იწყებდა პირბადეების რეკვიზირებას. ამან შეუქცევადი დომინოს ეფექტი იქონია სხვა წევრებზეც. მაგალითისთვის, გერმანიამ საერთოდ აკრძალა პირბადეების ექსპორტი. სამედიცინო აღჭურვილობის ექსპორტზე შეზღუდვები დააწესეს სხვა ქვეყნებმაც, კერძოდ, ჩეხეთმა და პოლონეთმა. ცალკეულმა სახელმწიფოებმა, მაგალითად, ჩეხეთმა, მალტამ და სლოვაკეთმა საზღვრების დაკეტვა დაიწყეს. სხვა წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ გადაეადგილებინათ შეზღუდვები. მაგალითისთვის, 2020 წლის 8 მარტს ესპანეთმა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ჩაატარა ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნად დაგეგმილი ღონისძიებები, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება (Herszenhorn & Wheaton, 2020).

ევროკავშირის პანდემიასთან ბრძოლის არაშეთანხმებულ ნაბიჯებს და მათ შედეგებს უფრო დეტალურად იკვლევს ბრიტანული ანალიტიკური გამოცემა, Fitch Solutions Group-ი, რომლის ანგარიშის თანახმად, სოციალური დისტანცირების განსხვავებულმა წესებმა აიძულა ცალკეული სახელმწიფოები, საზღვრები ჩაეკეტათ; თავის მხრივ საზღვრების ჩაკეტვამ გაართულა ვაჭრობა; ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებამ დაძაბა ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის და ეჭვქვეშ დააყენა სოლიდარობის პრინციპის ურყეობა და ბოლოს - ვირუსის შეკავების განსხვავებულმა და არაშეთანხმებულმა ტაქტიკურმა ქმედებებმა ვირუსის სწრაფ გავრცელებას შეუწყო ხელი (Europe's Uncoordinated Response To Covid-19 Will Have Multi-Faceted Political Implications, 2020).

ამგვარად, ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ევროკავშირმა ვერ შეძლო, შეემუშავებინა პანდემიასთან ბრძოლის დროული და კოორდინირებული პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, არსებული შრომები ნაკლებად ფოკუსირდება იმ ფაქტორებზე, რომლებმაც გაერთიანების არაშეთანხმებული პოლიტიკა განაპირობა. ამდენად, სწორედ ამ საკითხს ეხება მოცემული კვლევა.

კვლევის შედეგები

სოლიდარობის ნაკლებობა ევროკავშირში

ლიტერატურის მიმოხილვამ დაგვანახა, რომ კოვიდპანდემია ევროკავშირის ფუნქციონირების ეფექტურობის ნამდვილ გამოცდად იქცა და გამოაჩინა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების არაკოორდინირებული ნაბიჯები მობილობის შემცირების კუთხით, დაავადებათა გავრცელების პრევენციისა და მობილიზების თვალსაზრისით. როგორც სამეცნიერო სტატიების ანალიზმა ცხადყო, ამ არაკოორდინირებულობის გამომწვევი მთავარი ფაქტორი არ ყოფილა სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებული, რადგან ევროკავშირის ხელშეკრულებები (TFEU, TEU) შეიცავდა მოთხოვნას სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე.

შესაბამისად, კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ არაკოორდინირებული პოლიტიკის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები იყო, რასაც

კარგად ხსნის სახელმწიფო-ცენტრული ინტერგოვერნმენტალიზმის თეორია, რომლის მთავარი დებულების მიხედვითაც, ევროპულ ინტეგრაციას წარმართავენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები. წევრი-სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებისა და მთავრობების დომინირება გადანვეტილების მიღების პროცესში კარგად გამოჩნდა მთელი პანდემიის პერიოდში, რადგან მნიშვნელოვან გადანვეტილებათა უმრავლესობა მიიღებოდა აევროპული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიერ, ყველაზე სუპრანაციონალური ინსტიტუტი - ევროკომისია კი ვირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან ჩრდილქვეშ იყო და მას მხოლოდ რეკომენდაციების მისაღებად მიმართავდნენ. მაგალითად, პანდემიის საწყის ეტაპზე, 2020 წლის 29 იანვარს კრიზისების მართვის საკითხების კომისარმა იან ესლენარჩიჩმა ევროკავშირის ჯანმრთელობის კომისართან ერთად კონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა მობილიზების აუცილებლობასა და შიდა კრიზისების მართვის მექანიზმის ამოქმედებაზე, თუმცა კომისიის ამ მითითებას ქვეყნების რეაგირება არ მოჰყოლია. (EU Commission, 2021).

ამას გარდა, ევროკომისიამ ოთხჯერ მიმართა წევრ სახელმწიფოებს რათა მომხდარიყო საერთო სამედიცინო აღჭურვილობის მობილიზება და მომზადება ჯანდაცვის სისტემის, ეს მოწოდება პირველად 2020 წლის 28 თებერვალს გაკეთდა, თუმცა 2020 წლის 19 მარტამდე ვერ მოხერხდა ყველა სახელმწიფოსგან თანხმობის მიღება და სამედიცინო აღჭურვილობის საერთო ევროპული რეზერვის rescEU-ს შექმნა. (EU Commission, 2021) მთავარ როლს, რომ სახელმწიფოთა მთავრობები ასრულებდნენ დადასტურდა იმ ფაქტითაც, რომ მხოლოდ 2020 წლის 17 და 26 მარტს ევროპული საბჭოს ვიდუო კონფერენციის სახის შეხვედრაზე ლიდერებმა ისეთი საკვანძო გადანვეტილებები მიიღეს როგორცაა: გადანვეტილება საზღვრების ერთან კონტროლზე და საჭირო სამედიცინო ინვენტარის შეძენაზე სამოქალაქო თავდაცვის ჩარჩოს ქვეშ.

2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულმა, ჰორიზონტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა ევროკავშირში სოლიდარობის ნაკლებობა და ხაზი გაუსვა გერმანიისა და საფრანგეთის ეგოისტურ ქმედებას, რომელთაც პირბადეებისა და ნიღბების ექსპორტი აკრძალეს და მთავარ საზრუნავად აქციეს თავიანთი მოსახლეობის ინტერესები და საჭიროებები. (Gray, 2020) საგულისხმოა, ისიც, რომ მხოლოდ 7 აპრილს, როდესაც იტალიაში უკვე განსაკუთრებით დიდი იყო კოვიდით გარდაცვლილთა მაჩვენებელი (15 000 გარდაცვლილი, 100000-ზე მეტი ინფიცირებული) გაიგზავნა ევროკავშირის მიერ სამედიცინო ჯგუფი ბერგამოში და 3000 ლიტრი სადემინფექციო საშუალება.

ინტერგოვერმენტალიზმის თეორიის მიხედვით, სახელმწიფოთა ინტეგრაცია შესაძლებელია “დაბალი” პოლიტიკის არეებში, სადაც სუვერენიტეტის გადაცემა ნაკლებად მტკივნეულია, კოვიდიპანდემია კი იმდენად უპრეცედენტო და კომპლექსურად სამართავი კრიზისი აღმოჩნდა, რომ თითოეულმა მთავრობამ უპირატესობა მის ეროვნულ დონეზე მართვას არჩია, ვიდრე ევროპულზე. პანდემიის პერიოდში, რომ სახელმწიფოებმა დაივიწყეს სოლიდარობის პრინციპი და გადაერთვნენ ნულოვან ჯამიანი თამაშის მიხედვით მოქმედებაზე, მეტყველებს იმ პერიოდში თავად ლიდერების გაკეთებული განცხადებებიც, უფრო კონკრეტულად ყველაზე სუპრანაციონალური ინსტიტუტის, ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა 2020 წლის 26 მარტს ღიად თქვა: *“როდესაც ევროპას რეალურად სჭირდებოდა ყველა-ერთისათვის სულისკვეთება, ძალიან ბევრმა თავდაპირველად არჩია მხოლოდ-მე სულისკვეთება”* (EU CommissionPresscorner, 2020). ასევე მან

გამოიყენა ქოლგის მეტაფორა, იმის საჩვენებლად, რომ როდესაც ევროკავშირის წევრებს დასჭირდათ დახმარების მიღება ერთმანეთისგან (ქოლგის გაზიარება), ბევრმა თავი შეიკავა დახმარების განწვევისაგან (ქოლგის გაზიარებისაგან). ევროკავშირის კრიტიკას არ მორიდებია ყველაზე ინტერგოვერნმენტალური ინსტიტუტის პრეზიდენტი, შარლ მიშელიც, რომელმაც 2020 წლის აპრილს გაკეთებულ მიმართვაში ყურადღება გაამახვილა პანდემიის დროს ევროკავშირის ნელ მუშაობაზე და სახელმწიფოებს მოუწოდა მეტი სოლიდარობისაკენ განსაკუთრებით დაზარალებული ქვეყნებისადმი, იტალიისადმი და ესპანეთისადმი. (EURACTIV, 2020). პანდემიის პერიოდში ევროკავშირში, რომ სოლიდარობა არ იგრძნობოდა და ქვეყნები სუპრანაციონალურ, ინტერესებზე წინ ეროვნულს აყენებდნენ, პოლონეთის პრემიერ-მინისტრის, მატეუმ მორავეცკის, შეშფოთების მიზეზიც გახდა- *“როგორც ჩანს, ამ რთულ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ერი-სახელმწიფოებია”* (Wanat & Bayer, 2020). საბერძნეთის საგარეო საქმეთა ალტერნატიული მინისტრი, მილტიადის ვარვიციოტისი, იმავე მოსაზრებას იზიარებდა, კერძოდ, მისი ხედვითაც ევროპა უბრუნდებოდა ერ-სახელმწიფოს და შორდებოდა საერთო ევროპულ იდეას. (Bayer, 2020)

ევროკავშირის მიერ კრიზისის არაეფექტური მართვის მიზეზები

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერების პოლიტიკური ნების არ არსებობა იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც გამოიწვია კრიზისის არაეფექტური მართვა, კერძოდ, სახელმწიფოებმა არ გამოხატეს მზაობა კოვიდპანდემია, უკიდურესად კომპლექსური კრიზისი, რომელიც ცდებოდა ჯანმრთელობის სფეროს და მოიცავდა, ეკონომიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ასპექტებს, ემართათ შეთანხმებულად, ევროპულ დონეზე. საინტერესოა, რომ ევროკავშირის მსგავსი კროსსექტორული გამონვევების სამართავად 2013 წლიდან შემუშავებული აქვს ინტეგრირებული პოლიტიკური კრიზისების საპასუხო მექანიზმი (IPCR), რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც ევროკავშირი უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მსჯელობს საერთო საპასუხო ზომების მიღებაზე. მოცემული მექანიზმი 2020 წლის 28 იანვარს გაააქტიურა მინისტრთა საბჭოს როტაციულმა პრეზიდენტმა ქვეყანამ, ხორვატიამ, თუმცა მან IPCR სრულად არ ამოქმედა, ამდენად იგი შემოიფარგლებოდა მექანიზმის მეორე დონით, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებასა და კომუნიკაციის გამარტივებას მოითხოვდა წევრ სახელმწიფოებს შორის. (Council of European Union, 2021) პოლიტიკური კრიზისების საპასუხო მექანიზმი სრულად ამოქმედდა 2020 წლის 2 მარტს, მაშინ როდესაც ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობაში კოვიდით ინფიცირებულთა რიცხვი უკვე ძალიან მაღალი იყო. სწორედ, IPCR-ის სრულად ამოქმედების შემდეგ მოიწვია მინისტრთა საბჭომ მრგვალი მაგიდა კომისიის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის, ევროპული საბჭოს ოფისის და პანდემიით განსაკუთრებით დაზარალებულ წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენელების მონაწილეობით, სადაც დაიწყო მსჯელობა ევროკავშირის საერთო საპასუხო ნაბიჯების გადადგმაზე. IPCR-ის სრული დატვირთვით დაგვიანებული ამოქმედება და მისი არაეფექტურობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სახელმწიფოებს თავდაპირველ ეტაპზე, არ ჰქონდათ სურვილი, პოლიტიკური ნება ემართათ კრიზისი საერთო ევროპულ დონეზე და ცდილობდნენ ცალმხრივად, დამოუკიდებლად ემოქმედათ.

ცალკე განხილვას იმსახურებს ევროკავშირის მიერ ეკონომიკის აღდგენის გეგმის შემუშავების პროცესის სირთულე, რომელმაც მკაფიოდ გამოკვეთა ევროკავშირის სისუსტეები და ის ფაქტი, რომ ქმედებების კოორდინირებას სახელმწიფოთა ინტერესები აფერხებდა. 2020 წლის 26 მარტის ევროპული საბჭოს შეხვედრას, რომელსაც საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინა ევროკავშირის ერთიანობა და მზაობა ეკონომიკური პრობლემის ერთობლივი დაძლევის, სრულიად სანინალმდეგო შედეგი მოჰყვა და გამოკვეთა დაპირისპირება ეკონომიკურად მონინავე- ფინეთს, ნიდერლანდებს, ავსტრიას, გერმანიასა და კოვიდპანდემიით განსაკუთრებით დაზარალებულ სამხრეთის ქვეყნებს შორის (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი). დავა ეხებოდა ერთობლივი სესხების აღებას, ე.წ. "coronabonds", რომლის მომხრეც 9 სახელმწიფო იყო, ხოლო მკაცრად ეწინააღმდეგებოდა გერმანია და ნიდერლანდები. (Tharoor, 2020) ამ დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი მდგომარეობდა ამ ორ ჯგუფს შორის არსებულ ინტერესთა სხვაობაში, კერძოდ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოთათვის მიუღებელი იყო საერთო სესხის აღება, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ მათი ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა ეხადათ სესხი სხვა სახელმწიფოთა მიერ გადადგმული არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გამო და აპელირებდნენ ევროკავშირის ხელშეკრულების 125-ე მუხლზე, რომელიც გამორიცხავს ევროკავშირის სახელმწიფოების პასუხისმგებლობას ერთმანეთის ვალეებზე. (Becker, 2020) ეკონომიკური პრობლემის წინაშე მდგარ ქვეყნებს კი კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად ერთობლივი სესხი მიაჩნდათ და არ სურდათ სესხის დამოუკიდებლად აღება ევროპული სტაბილურობის მექანიზმის მეშვეობით, რადგან ეს გარკვეულ პირობითობის ელემენტებს შეიცავდა და მოითხოვდა მტკივნეული სტრუქტურული რეფორმების გატარებას. ეს ინტერესთა კოლიზია კი იმდენად ძნელად გადასალახი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 2020 წლის 20 ივლისს, (ევროპული საბჭოს შეხვედრაზე, 3 დღიანი მოლაპარაკებების საფუძველზე) მიღწეულ იქნა კომპრომისი და დამტკიცდა ეკონომიკის აღდგენისა და დახმარების გეგმა.

დასკვნა

2019 წელს დაწყებული კოვიდპანდემია მსოფლიოს მთავარ გამოწვევად იქცა, გამოწვევის არ ყოფილა არც ევროკავშირი, რომელმაც ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე, ვერ მოახერხა ადეკვატური რეაგირება და საერთო ძალებით გამკლავება ვირუსის გავრცელებასთან. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომ დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ არერთხელ გამოჩნდა, თუმცა რა იყო ამ ყოველივეს გამომწვევი მიზეზი შეუსწავლელი რჩებოდა.

საბოლოო ჯამში, მოცემული თვისებრივი კვლევით დადგინდა, რომ ევროკავშირის არაკოორდინირებული პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა ევროკავშირის წევრთა მიერ იტალიისათვის დახმარების დროულად არ აღმოჩენაში, საზღვრების შეუთანხმებელ ჩაკეტვაში, კონტროლის დაწესებაში პირბადეებსა და სხვა ჯანდაცვის საშუალებებზე- აიხსნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნული ინტერესების სუპრანაციონალურ ინტერესებზე მალლა დაყენებით და არა სამართლებრივი საფუძვლით. ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოსა და კრიზისებზე რეაგირების არსებული მექანიზმის შესწავლამ გამოკვეთა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთობლივ ქმედებას არა თუ აბრკოლებდა არსებული ხელშეკრულებები, არამედ

პირიქით ხელს უწყობდა უფრო მეტი სოლიდარობისა და შეთანხმებული მოქმედებისაკენ. ამგვარად, მთავარი მიზეზი თუ რატომ ვერ შეძლო ევროკავშირმა ეფექტურად კრიზისის მართვა, უკავშირდება წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების არარსებობას. ევროკავშირის ქმედებების ინტერგოვერმენტალიზმის თეორიული ჩარჩოს მეშვეობით გაანალიზებამ ასევე დაგვანახა, რომ საკვანძო გადანწყვეტილებათა უმრავლესობა მიიღებოდა მთავრობათშორისი ხასიათის მქონე ინსტიტუტის, ევროპული საბჭოს მიერ, ხოლო ყველაზე სუპრანაციონალურ ინსტიტუტს, ევროკომისიას სახელმწიფოები მხოლოდ რეკომენდაციების მისაღებად მიმართავდნენ. აქედან გამომდინარე დადასტურდა, რომ ევროპულ ინტეგრაციის წარმართვაში კვლავ დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავენ რა სფეროებში სურთ დაახლოება, კოვიდპანდემიის დროს კი მათ არ გამოავლინეს პოლიტიკური ნება, რათა ინტეგრირებული პოლიტიკური კრიზისი ევროპულ დონეზე ემართათ.

საგულისხმოა, რომ ე.წ. “პირველი ტალღის” პერიოდში კრიზისის მართვისას სახელმწიფოთა მიერ ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებზე მაღლა, ეროვნული ინტერესების დაყენება ყველაზე მკაფიოდ 2020 წლის მაისში, ეკონომიკური აღდგენის პროგრამაზე არსებულ დაპირისპირებით აღსავსე ხანგრძლივ მოლაპარაკებებში გამოიკვეთა.

ბიბლიოგრაფია

1. Alemanno, A. (2020). The European Response to COVID-19: From Regulatory Emulation to Regulatory Coordination? *European Journal of Risk Regulation*, 11(2), 307–316. <https://doi.org/10.1017/err.2020.44>
2. Bayer, L. (2020). *EU response to corona crisis 'poor,' says senior Greek official*, The politico, Retrieved from: <https://www.politico.eu/article/eu-response-to-coronavirus-crisis-poor-says-senior-greek-official/> on 23.07.21.
3. Becker, A. (2020). *Coronabonds and the idea of European financial unity*, DW, Retrieved from: <https://p.dw.com/p/3aId7> on 23.07.21.
4. *COVID-19 situation update for the EU/EEA, as of 19 May 2021*. (2021). European Centre for Disease Prevention and Control. <https://www.ecdc.europa.eu/en/cases-2019-ncov-eueea>
5. Council of European Union (2021). The Council's response to crises (IPCR) Retrieved from: <https://www.consilium.europa.eu/en/policies/ipcr-response-to-crises/> on 23.07.21.
6. EU Commission Press Corner (2020). *Speech by President von der Leyen at the European Parliament Plenary on the European coordinated response to the COVID-19 outbreak*, Retrieved from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/speech_20_532 on 21.07.21.
7. European Commission (2021). Timeline of EU action, Retrieved from: https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/timeline-eu-action_en on 22.07.21.
8. EURACTIV (2020). Michel: EU's way of working is 'too slow', Retrieved from: <https://www.euractiv.com/section/future-eu/news/michel-eus-way-of-working-is-too-slow/> on 22.07.21.
9. Fitch Solution Group. (2020). Europe's Uncoordinated Response to Covid-19 Will Have Multifaceted Political Implications. https://www.fitchsolutions.com/search?search_api_fulltext=uncoordinated&type=All§or=&topic
10. Gray, R. (2020). *Lack of solidarity hampered Europe's coronavirus response, research finds*, Horizon, Retrieved from: <https://horizon-magazine.eu/article/lack-solidarity-hampered-europe-s-coronavirus-response-research-finds.html> on 23.07.21.
11. Hoffman, S. (1995). *The European Sisyphus: essays on Europe 1964-94*. Oxford: Westview.
12. Herszenhorn, D. M., & Wheaton, S. (2020). *How Europe failed the coronavirus test*. POLITICO. <https://www.politico.eu/article/coronavirus-europe-failed-the-test/>
13. Jones, L. (2021). *Coronavirus: How the pandemic has changed the world economy*. BBC News; BBC News. <https://www.bbc.com/news/business-51706225>
14. Lloyd, N. (2020, December 16). *How has the coronavirus pandemic affected the economy in Europe?* Euronews; Euronews.com. <https://www.euronews.com/2020/12/16/how-has-the-coronavirus-pandemic-affected-the-economy-in-europe>
15. Paun, C., & Deutsch, J. (2020, March 6). *Health ministers squabble over face masks at coronavirus talks*. POLITICO; POLITICO. <https://www.politico.eu/article/health-ministers-squabble-over-face-masks-at-coronavirus-talks/?fbclid=IwAR1fZ8d2MI78p2GRBgoexD1nGjR0nq6jO4rM6EJC8WtrOJDUwMgolYIR4o>

16. PURNHAGEN, K. P., DE RUIJTER, A., FLEAR, M. L., HERVEY, T. K., & HERWIG, A. (2020). More Competences than You Knew? The Web of Health Competence for European Union Action in Response to the COVID-19 Outbreak. *European Journal of Risk Regulation*, 11(2), 297–306. <https://doi.org/10.1017/err.2020.35>
17. Tharoor, I. (2020). “*Coronavirus reopens Europe’s angry divide*”, The Washington Post, Retrieved from: <https://www.washingtonpost.com/world/2020/04/01/coronavirus-reopens-europes-angry-divide/> on 23.07.21.
18. *2020 Year in Review: The impact of COVID-19 in 12 charts*. (2020). World Bank Blogs. <https://blogs.worldbank.org/voices/2020-year-review-impact-covid-19-12-charts>
19. Wanat, Z. & Bayer, L (2020). “*Polish PM claims EU has not contributed a single cent to fight coronavirus*”, The Politico, Retrieved from: <https://www.politico.eu/article/polish-pm-claims-eu-has-not-contributed-any-cent-to-fight-coronavirus/> on 23.07.21
20. *WHO Coronavirus (COVID-19) Dashboard*. (2021). Who.int. <https://covid19.who.int/>
21. ბურძენიძე, მ. (2010). კვლევის სახეების კლასიფიკაცია და სპეციფიკა ემპირიულ სოციოლოგიაში. თსუ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



“არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე -აშშ-სა და ჰონგ-კონგის შემთხვევები“

**თორნიკე ყრუაშვილი
ნიკოლოზ მახარობლიშვილი**

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tornike.kruashvili883@sps.tsu.edu.ge

E-mail: Nikolozluka321@gmail.com

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია ეხება დღესდღეობით ერთ-ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან და კვლავ აქტიურ თემაში მყოფ კოვიდ პანდემიის ფონზე მიმდინარე არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას, რომელმაც ჩაანაცვლა შეიარაღებული დაპირისპირება და იქცა საკმაოდ პოპულარულ და მშვიდობიან პროტესტის ფორმად. ამიტომაც დავინტერესდით ამ საკითხით, ვცადეთ ჩვენი მიგნებები და შეფასებები წარმოგვედგინა სტატიის სახით, რაც კიდევ უფრო მეტად მოგვეცემს საშუალებას უკეთ ჩავწვდეთ არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის არსს. ეს უკანასკნელი კი განხილული იქნება ისეთი ორი დიდი სახელმწიფოს მაგალითზე, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები და ჰონგ-კონგი. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განსაზღვროს, თუ როგორ მოქმედებს და მიმდინარეობს არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე. ნაშრომის ფარგლებში, გამოიკვეთება რა ზეგავლენას ახდენს ოცდამეერთე საუკუნის მომაკვდინებელი ვირუსი ამ ყველაფერზე და რამდენად ხერხდება კოვიდ პანდემიის მიერ დაწესებულ შეზღუდვებში, მისი აქტიური ღონისძიებების ჩატარება და დასახული მიზნის მიღწევა. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის და სხვადასხვა მეცნიერის თუ ორგანიზაციის შეფასების გაცნობის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომელიც ჩვენი სტატიის მთავარ ბირთვად იქცა. ეს სწორადაც, რომ ორი სახელმწიფო გახლავთ, სადაც არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა საკმაოდ აქტიურ თემაში იმყოფებოდა. ამ ორი ქვეყნის მაგალითზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა გავგვეკეთებინა დასკვნები და უკეთ ჩავწვდომოდით სხვადასხვა სტატისტიკის დახმარებითაც, თუ რაოდენ წარმატებული ან წარუმატებელი აღმოჩნდა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა წარდგენილ სახელმწიფოებში და დავსვით მთავარი კითხვა შესაძლებელია თუ არა, რომ ასეთ პროტესტს და მშვიდობიან გამოსვლებს ჰქონდეს მომავალი. საკითხზე მუშაობისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კონკრეტულად, პირველადი წყაროების ანალიზი და კონკრეტული შემთხვევების შესწავლა. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ეს საკითხი ორიენტირებულია სამომავლო პროგნოზებზე, რომლის განჭვრეტაც საინტერესო და მრავლის მომცემი აღმოჩნდა. რამდენადაც აშშ-სა და ჰონგ-კონგის მაგალითებმა ცხადჰყო, არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას პანდემიის პირობებში მომავალი გააჩნია. სავარაუდოა ისიც, რომ წარსული გამოცდილებით, სამოქალაქო პროტესტი კიდევ უფრო დახვეწილი და მშვიდობიანი იქნება.

საკვანძო სიტყვები- არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა, შავკანიანთა უფლებები, ექსტრადაცია, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰონგ-კონგი.

შესავალი

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში საზოგადოებას ყოველთვის გააჩნდა გარკვეული უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო სხვადასხვა კანონის გატარებით, მათი ცალკეული გადაწყვეტილებებითა და მოქმედებით. არ აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფო განვითარებულია თუ განვითარებადი, ასეთ შემთხვევებში, საზოგადოების ნაწილი ყოველთვის გამოხატავდა უკმაყოფილებას, რაც, როგორც წესი, გადაიზრდებოდა ხოლმე ქუჩის პროტესტში. ბოლო 50 წლის განმავლობაში, არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა რევოლუციური მოძრაობისა და მობილიზების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად იქცა და ერთ დროს საყოველთაოდ აღიარებული შეიარაღებული დაპირისპირებები ჩაანაცვლა. სამოქალაქო წინააღმდეგობამ პიკს დაახლოებით 2010 წელს მიაღწია, თუმცა კოვიდ პანდემიამდე მისი პოპულარობა ეტაპობრივად მცირდებოდა. 2020 წლის შემდეგ, როცა პანდემია აქტიურ ფაზაში იყო, არაძალადობრივი გამოსვლების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. (Chenoweth, 2020)

შესაბამისად კვლევის მიზნი არის კონკრეტულ ორ სახელმწიფოში, აშშ-სა და ჰონგ-კონგში არაძალადობრივი მოძრაობების შესწავლა და გაანალიზება. გარდა ამისა, საკვლევ კითხვას წარმოადგენს, რამ გამოიწვია არსებული სამოქალაქო წინააღმდეგობა ამ ქვეყნებში და რამდენად ეფექტურია კოვიდ პანდემიის ფონზე.

თემის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების და მეორადი წყაროების გაანალიზების საფუძველზე, აშშ-სა და ჰონგ-კონგის მაგალითებზე მოხდა არაძალადობრივი დემონსტრაციების ტენდენციების განსაზღვრა, ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებში კოვიდ ვითარების შესწავლა და შედარება სამოქალაქო პროტესტის შემთხვევებთან. აღნიშნული საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, ვინაიდან 2020 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს უმთავრეს გამოწვევას კოვიდ 19 წარმოადგენს, ამის პარალელურად, 2020-2021 წლებში არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კიდევ უფრო გააქტიურდა. გარდა ამისა, საკითხის შერჩევასა და აქტუალურობის ანალიზისას, გათვალისწინებულია არსებული ქვეყნების ეპიდემიოლოგიური სურათი და საპროტესტო მოძრაობების მუხტი. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა განაპირობა აღნიშნული თემის შერჩევა და კონკრეტული ორი, აშშ-სა და ჰონგ-კონგის შემთხვევების დეტალური ანალიზი.

მეცნიერების მ. ბარტოვსკისა და კ. მერიმანის განმარტებით, არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა გახლავთ პროტესტის ყველაზე მშვიდობიანი და წარმატებული ფორმა, რომელიც დღესდღეობით მობილიზაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში. მათი აზრით, სამოქალაქო წინააღმდეგობა არის ბრძოლის ტექნიკა, რომელიც იყენებს ტრადიციულ ინსტიტუციურ

არხებს, რათა საზოგადოებაში ცვლილებები განხორციელდეს.(Bartkowski & Merriman, 2020) ამგვარ გამოსვლებს, როგორც წესი, თითქმის არ ახასიათებს ძალადობრივი ელემენტები(გამონაკლისია რამდენიმე შემთხვევა,თუმცა ძალადობა არ ყოფილა უკიდურესი ხასიათის). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ 2019-2021 წლები მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის პიკი იყო. უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია, 2010 წლიდან იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა 2020 წლის პანდემიამ მასზეც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა.

ლიტერატურის მიმოხილვა

არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა არის სამოქალაქო პროტესტის ფორმა, რომელიც გამოიყენება სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური საშუალებებით, ძალადობისა და მუქარის გამოყენების გარეშე. მეცნიერებმა, ე. ჩენოვეტმა და ჯ. სტეფანმა დააფიქსირეს ასობით არაძალადობრივი მეთოდი- სიმბოლური საპროტესტო აქციები, ეკონომიკური ბოიკოტები, შრომითი გაფიცვები, პოლიტიკურ-სოციალური თანამშრომლობა და არაძალადობრივი ინტერვენცია, რომლებსაც ჯგუფები იყენებდნენ საზოგადოების მობილიზებისთვის სხვადასხვა პოლიტიკური ნაბიჯის წინააღმდეგ ან მის მხარდასაჭერად. არაძალადობრივი ბრძოლა მიმდინარეობს ტრადიციული პოლიტიკური არხების გარეთ, რაც მას განასხვავებს ისეთი არაძალადობრივი პროცესებისგან როგორცაა ლობირება და არჩევნების ჩატარება(Chenoweth & Stephan, 2008).

„პროტესტის არაძალადობრივი ფორმა მშვენიერია, სანამ ის მუშაობს“- თქვა ერთხელ მაკლონმ მეთემ(Dear, 2012). ცოტა ხნის წინ კოლუმბიის უნივერსიტეტის პრესამ გამოაქვეყნა საგანგებო სამეცნიერო წიგნი, რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ მშვიდობიანი პროტესტი მუშაობს ბევრად უკეთ, ვიდრე ძალადობა. შესაბამისად, განდი მართალი იყო, რომ არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდი, როგორც სოციალური ცვლილებების გზა, ბევრად უფრო ეფექტურია და მშვიდობიანია(Dear, 2012).

ეს სიტყვები ეკუთვნის , ჯონ დეარს-ს, რომელიც გახლავთ ამერიკელი კათოლიკე მღვდელი, ქრისტიანი პაციფისტი, ავტორი და ლექტორი , ამასთანავე იესოს საზოგადოების ყოფილი წევრი, რომელმაც მნიშვნელოვანი სტატია შემოგვთავაზა E ჩენოვეტისა და სტეფანის 2008 წლის ნაშრომზე, სახელწოდებით „რატომ მუშაობს სამოქალაქო წინააღმდეგობა: არაძალადობრივი კონფლიქტის სტრატეგიული ლოგიკა“, სადაც განიხილავს, თუ რაოდენ დიდი როლი აქვს არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას და მნიშვნელოვან ტექსტებს გვთავაზობს ამ ნაშრომიდან. ამ უკანასკნელის ციტირებას კი ქვემოთ შემოგვთავაზებთ :

”ჩვენ ვაანალიზებთ ძალადობრივი და არაძალადობრივი წინააღმდეგობის 323 კამპანიას 1990 – დან 2006 წლამდე”, - განმარტავენ ავტორები თავიანთ შესავალში.

მათ შორის არის ასზე მეტი ძირითადი არაძალადობრივი კამპანია 1900 წლის შემდეგ, რომელთა სიხშირე დროთა განმავლობაში გაიზარდა. მათი მზარდი სიხშირის გარდა, არაძალადობრივი კამპანიების წარმატების მაჩვენებლები გაიზარდა. შესაძლებელია ეს შედარებული იქნას ძალადობრივ აჯანყებებთან? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმატების დონე შეიძლება გაიზარდოს, როგორც არაძალადობრივ, ისე ძალადობრივ პროტესტში, მაგრამ ჩვენს მონაცემებში ჩვენ ვხვდებით საპირისპიროს: მიუხედავად იმისა, რომ ისინი არსებობენ, ძალადობრივი ამბოხებების წარმატების მაჩვენებელი შემცირდა. ყველაზე თვალსაჩინო დასკვნა არის ის, რომ 1900 – დან 2006 წლამდე არაძალადობრივი წინააღმდეგობის განვითარება კამპანიამ თითქმის ორჯერ აღნიშნა სრული ან ნაწილობრივი წარმატება, ვიდრე მისმა მონინააღმდეგე ძალადობრივმა პროტესტმა. ანტირეჟიმული წინააღმდეგობის კამპანიების შემთხვევაში 323 კამპანიაში, არაძალადობრივი სტრატეგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმატების ალბათობა. (Dear, 2012).

ზემოთ განხილულ მეცნიერთა ნააზრევზე დაყრდნობით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მართლაც წარმატებულად და შედეგიანად მოქმედებს არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა, რომელმაც რეალურად დროთა განმავლობაში შესაძლოა მთლიანად ჩაანაცვლოს ძალადობაზე დაფუძნებული ყველა დემონსტრაცია თუ პროტესტის ფორმა და პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემა, რომელიც საზოგადოების ინტერესებს არ შეესაბამება, გადაჭრილ იქნას მშვიდობიანი გზით.

უფრო სტრატეგიულ დონეზე, მოძრაობებმა გამოიყენა COVID-19 პანდემია, როგორც შესაძლებლობა, უზრუნველყოს მოსახლეობის მომსახურების განვითარება, იყოს აქტიური ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე მაშინაც კი, როდესაც მთავრობები უარს იტყვიან და გამოავლენენ უთანასწორობებს არსებულ ჯანმრთელობის და ეკონომიკურ სისტემებში. გლობალური პანდემიის კრიზისის განვითარებასთან ერთად, განვითარდება მოძრაობების გეგმები და ტაქტიკაც. ქუჩის საპროტესტო აქციების დომინირებამ, როგორც არაძალადობრივი მოქმედების ცენტრალურმა ტაქტიკამ, შეიძლება გაართულოს ეს ევოლუცია. (Pinckney & Rivers, 2020).

ამრიგად, მიუხედავად მსოფლიოში ბოლოდროინდელი შეფერხებებისა არაძალადობრივი კამპანიებისთვის, 2020 წელს არ დასრულებულა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის არსებობა. მიუხედავად პანდემიისა, არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კვლავ აქტუალური იქნება. (Chenoweth, 2020).

მეთოდოლოგია

მოცემული სტატია მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ და პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს, რამ გამოიწვია სამოქალაქო მშვიდობიანი პროტესტი კონკრეტულ სახელმწიფოებში და რამდენად ეფექტურია იგი კოვიდ პანდემიის ფონზე.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ და გავაანალიზოთ არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კოვიდ პანდემიის ფონზე, ამასთანავე გავეცნოთ კონკრეტული სახელმწიფოების შემთხვევებს.

ნაშრომი წარმოადგენს სხვადასხვა სტატიებისა და წყაროების ანალიზს, რომელშიც პარალელურად წარმოჩენილია მეცნიერებისა და ანალიტიკოსების შეფასებები მოცემული საკითხების გარშემო. მთავარი მიზნის მისაღწევად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად, მეორეულ მონაცემთა ანალიზი და შემთხვევის შესწავლა. მასალის შესწავლისას მოპოვებულია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც აღწერს არაძალადობრივი სამოქალაქო მოძრაობების სიხშირესა და გეოგრაფიულ განფენილობას. მონაცემები დამუშავებულია კონკრეტულ დიაგრამებსა და გრაფიკებზე დაყრდნობით

ნაშრომის საწყის ეტაპზე განხილულია, თუ როგორ ჩამოყალიბდა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა, როგორც პროტესტისა და მობილიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა და რა „ბედი ეწია“ მას კოვიდ პანდემიის ფონზე.

კოვიდ პანდემია და არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა: აშშ-სა და ჰონგ-კონგის შემთხვევები

კოვიდ პანდემია გახდა ის მიზეზი რამაც ხალხი აიძულა დაეტოვებინა მშვიდობიანი გამოსვლები და დამორჩილებულიყვნენ იმ შეზღუდვებს, რომელიც კრძალავდა ამგვარ ფართო მასშტაბის მქონე შეკრებებს. თუმცა ყველაფერი სირთულისკენ წავიდა მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ აქტუალურ საკითხად იქცა შავკანიანთა უფლებების დარღვევის საკითხი, რამაც მოსახლეობის უმრავლესობა აიძულა პროტესტის ფორმად სამოქალაქო წინააღმდეგობა გამოეყენებინათ და ამით შებრძოლებოდნენ მთავრობის პოლიტიკას, იმ მძიმე და არასახარბიელო გარემოში, რასაც კოვიდ პანდემია ქმნიდა. ასევე გამოიკვეთა საკამოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო ტენდენცია, აშშ-ს კრიზისის მონიტორინგის სამსახურის თანახმად, ადამიანებმა, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი სამუშაო და საარსებო წყარო, უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი და ხშირად მონაწილეობდნენ საპროტესტო გამოსვლებში. (US crisis monitor, 2020).

კრიზისის მონიტორინგის ცენტრის ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მკდომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, მათი პროტესტი კი სხვადასხვა პრობლემებს ეხებოდა, როგორცაა: უმუშევრობა, სკოლების გახსნა და ნიღბების მანდატები. პანდემია, რა თქმა უნდა, შეეხო პოლიტიკის სფეროებსაც. პოლიტიკური პარტიები იყოფოდნენ დემონსტრაციების დროს ლოკდაუნის მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფებად. შემდეგი სტატისტიკა კი ნათელ სურათს გვანახებს იმის შესახებ, თუ რაოდენ გაიზარდა, კოვიდ პანდემიის დროს დემონსტრაციათა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 24 მაისის შემდეგ, პანდემიასთან დაკავშირებული 1000 – ზე მეტი დემონსტრაცია დაფიქსირდა 47 შტატსა და ვაშინგტონში, განსაკუთრებით კალიფორნიაში, ნიუ – იორკში, ფლორიდასა და ტეხასში. აგვისტოს დასაწყისში კი უფრო მეტად მოიმატა დემონსტრაციებმა შავკანიანთა უფლებების დაცვის საკითხში. (US crisis monitor, 2020). ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, თუ რაოდენ განვითარებული პოლიტიკური კულტურა ახასიათებს ამერიკის მოსახელობას, და ზოგადად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კოვიდ პანდემია არ აღმოჩნდა ის პრობლემა, რაც შეაფერხებდა სიმართლის მოსურნე ხალხს, მოეწყო დემონსტრაციები და საკამოდ აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობაში.

არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის მთავარი წერტილი არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ ჰონგ-კონგიც გახლდათ. საპროტესტო მოძრაობები, ძირითადად ეყრდნობოდა დიდი საზოგადოებრივი გამოსვლების ტაქტიკას, როდესაც ხალხი გამოდიოდა ქუჩებში ჰონგ-კონგიდან ჩინეთამდე მეტი დემოკრატიის, ეკონომიკური თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნით. ზოგიერთმა მშვიდობიანმა მოძრაობამ, კერძოდ რევოლუციამ, რომელიც მიმართული იყო ომარ ალ-ბაშირის წინააღმდეგ, წარმატებით განახორციელა საკუთარი მიზნები. (Pinckney, J & Rivers, M, 2020). ჰონგ-კონგშიც საკამოდ აქტიური და ცოცხალი გამოსვლები მიმდინარეობდა ექსტრადაცის მოთხოვნით, რომელზედაც საფუძვლიანად შემდგომ ვისაუბრებთ. არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა იქცა პროტესტის გამოხატვის ყველაზე ძლიერი იარაღიც, რომელმაც შეძლო და გადალახა ის ბარიერები, რომლებსაც თავად სახელწმიფოები აწესებდნენ კოვიდ პანდემიის პირობებში.

აღნიშნული საკითხი არ ჰკარგავს აქტუალურობას, ვინაიდან 2020 წლიდან მოყოლებული დღემდე კოვიდ პანდემია კვლავ აქტიურ ფაზაშია მსოფლიო მასშტაბით და მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა ისეთი, რომელმაც შეძლო და პანდემია თითქმის დაამარცხა. მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, 2020-2021 წლებში სულ უფრო გამწვავდა და გააქტიურდა არაძალადობრივი წინააღმდეგობები. თუ როგორ ხდებოდა ეს ყოველივე და ზოგადად ჰქონდა თუ არა მას შედეგი ამას ორი ზემოთ აღნიშნული სახელწმიფოს მაგალითზე შემოგთავაზებთ, რადგანაც ამ ქვეყნებში კოვიდ

ეპიდემიოლოგიური ვითარება საკმაოდ რთული და მძიმე გახლდათ, რაც მშვიდობიანი პროტესტის მუხტს თითქმის არ ცვლიდა.

ექვვარეშეა, რომ კოვიდ 19 პანდემიამ მკვეთრი და მოულოდნელი დარტყმა მიაყენა მრავალ მიმდინარე და სამოქალაქო წინააღმდეგობას მთელს მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ის უფრო მწვავედ და ფართო მასშტაბებზე მიმდინარეობდა. ამერიკის მაგალითი ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს არაძალდობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას და თუ როგორ შეუძლია მას არსებობა კოვიდ პანდემიის პირობებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მძიმე კოვიდ ეპიდემიოლოგიური ვითარება იყო, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა ახლად წარმოშობილი პროტესტი და მშვიდობიანი დემონსტრაციები, რომელიც, პოლიციის მიერ ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას შეეხებოდა. მისმა სიკვდილმა, რა თქმა უნდა, გამოიწვია დიდი ტალღა დემონსტრაციების, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, აღეკვეთათ შავკანიანთა უფლებების დარღვევა. ფლოიდის გარდაცვალების მეორე დღეს და 22 აგვისტომდე, 26 მაისს, ACLED- მა ჩაინერა 75050-ზე მეტი დემონსტრაცია, რომლებიც დაკავშირებულია BLM (black live matter) მოძრაობასთან 504 შტატში 2440-ზე მეტ ადგილზე და ვაშინგტონში. (US crisis monitor, 2020).

არაძალდობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა თავისთავად მოიაზრებს ასევე მშვიდობიანი პროტესტის და დემონსტრაციების გზით დასახული მიზნის ასრულებას. ამ დროს ნაკლებია ძალადობრივი დაპირისპირება, შეიარაღებული გამოსვლები და ყველაფერი ის, რაც ძალადობრივ წინააღმდეგობებს ახასიათებდა დიდი ხნის განმავლობაში. მიუხედავად იმისა რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ დაძაბული და ფართომასშტაბიანი გამოსვლები მიმდინარეობდა, სამოქალაქო წინააღმდეგობა მაინც მშვიდობიან ხასიათს ინარჩუნებდა. იყო ასევე პოლიციის თავდასხმის, მალაზიების დანვის, ხალხის უმოწყალოდ ცემის შემთხვევებიც, თუმცა მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა დემონსტრაციის 93%-ზე მეტს დემონსტრანტს არ ჩაუდენიათ ძალადობა ან დესტრუქციული საქმიანობა. ცნობილია, რომ მშვიდობიანი საპროტესტო აქციები ქვეყნის მასშტაბით 2400 – ზე მეტ განსხვავებულ ადგილას ჩატარდა. ([CNN, 1 September 2020](#)).

ამერიკის შეერთებული შტატები ნათელი დასტურია იმის თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს არაძალადობრივ სამოქალაქო მოძრაობებს. იმ რთულ სიტუაციას, რასაც კოვიდ 19 პანდემია ქმნიდა, საკმაოდ წარმატებით უმკლავდებოდა პროტესტის ეს მშვიდობიანი და ამავე დროს წარმატებული ფორმა. მშვიდობიანი მოსახელობა საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დიდი რისკის ქვეშ აყენებდა, რათა ეცხოვრათ ისეთ ქვეყანაში სადაც სქესისა და რასის განურჩევლად ადამიანებს მიეცემოდათ ცხოვრების უფლება ალბათ სწორედ ამიტომ შეიძლება არაძალდობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას წარმატებული ვუნოდოთ კოვიდ

პანდემიის პირობებში, რომელმაც ფაქტობრივად მოახდინა დაენგრია ის ზღუდეები, რასაც პანდემია ქმნიდა.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო ის თუ რა შედეგების მომტანია არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა და აქვს თუ არა მას მომავალი. ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე ვეცდებით გაჩვენოთ თუ რა გამოიღო ჯორჯ ფლოიდის სიკვდილის გამო დაწყებულმა მასობრივმა სამოქალაქო წინააღმდეგობამ. ახლა კი გთავაზობთ იმ შედეგებს, რაც გამოიწვია საზოგადოების პროტესტმა. ჯონ დეივი გამოყოფს შემდეგს:

მინეაპოლისის საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ პირობა დადო, რომ ქალაქის პოლიციის განყოფილება დაიშლებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობით შექმნილი უსაფრთხოების ახალი მოდელით. ეს გახლდათ ნაბიჯი, რომელიც ფლოიდის სიკვდილამდე წარმოუდგენელი იქნებოდა. ფლოიდის მკვლელობაში წარდგენილი პოლიციის ოფიცერ შოვინს დაუდასტურდა მეორე ხარისხის მკვლელობა, ასევე მასთან ერთად დაადანაშაულეს ის ოფიცრებიც რომლებიც ხელს უწყობდნენ მას ამგვარი საქციელის განხორციელებაში. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამოღებულია ისტორიული ლიდერების ქანდაკებები, ძეგლები და შენობები, რომლებიც ატარებდნენ პოლიტიკას, როგორც რასისტულს.

სამართალდამცავი ორგანოები და პოლიტიკოსები, რომლებიც მათ ზედამხედველობენ ქვეყნის მასშტაბით, გასცეს ბრძანებები, რომლებიც მიზნად ისახავს ზედამხედველობის გაძლიერებას და პოლიციის მხრიდან ძალადობის აღკვეთას. რესპუბლიკელებმა სენატში და ასევე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოაცხადეს საკუთარი საკანონმდებლო გეგმები პოლიციის რეფორმისა და რასობრივი უსამართლობის მოსაგვარებლად. (Dave, 2020).

სწორედ ეს ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ადასტურებს იმას თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს სამოქალაქო წინააღმდეგობას და რომ მისი მეშვეობით შესაძლოა მართლაც ისეთი ცვლილებების განხორციელება, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. სამოქალაქო წინააღმდეგობას მომავალი მართლაც გააჩნია და შესაძლოა მან დროთა განმავლობაში სრულიად ჩაანაცვლოს რევოლუციები, რომელსაც თან დიდი რაოდენობის შეიარაღებული დაპირისპირება ახასიათებს.

ჰონგ-კონგში 2019-2020 წლებში არაძალადობრივი წინააღმდეგობრივი მოძრაობის პიკი იყო. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ 2020 წლის დასაწყისში ჰონგ-კონგი ჩინეთთან ერთად იქცა ეპიდემიის კერად, თუმცა, მიუხედავად ამისა, საპროტესტო გამოსვლების მუხტი მაინც არ ეცემოდა. და მაინც რამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა და როგორ მიმდინარეობდა იგი კოვიდპანდემიის ფონზე?

ჰონგ-კონგისთვის არაძალადობრივი წინააღმდეგობრივი მოძრაობა იწყება 2019 წელს, რაც ექსტრადაციის კანონპროექტის წინააღმდეგ იყო მიმართული. კანონპროექტი ითვალისწინებდა აღმასრულებელი ხელისუფლების გადანაცვლებით ბრალდებულების გადაცემას ნებისმიერი იურისდიქციისთვის, მიუხედავად შეთანხმების ქონა/არ ქონისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პროტესტი მალე ჰონგ-კონგისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მცდელობად იქცა. ამ არაძალადობრივი მოძრაობის მთავარი მიზეზი იყო შიში იმისა, რომ ამ კანონის დამტკიცების შემთხვევაში, ადგილობრივებს მოაქცევდა ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ, რაც, თავისთავად, შეარყევდა ჰონგ-კონგის ავტონომიას და მოქალაქეების უფლებებს შეზღუდავდა. მოსახლეობა ფაქტობრივად დაუცველი გახდებოდა ჩინეთის მკაცრი, კორუმპირებული სამართლებრივი სისტემის წინააღმდეგ (ბურდული, 2020).

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ჰონგ-კონგელებს საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა მოუწიათ. საპროტესტო, მშვიდობიანი აქციები რამდენიმე ეტაპად იყო დაყოფილი. თავდაპირველ გამოსვლებში დაახლოებით 550000 ადამიანი მონაწილეობდა, თუმცა მას შემდეგ რაც, პირველმა სამოქალაქო პროტესტმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო, საზოგადოება მეორე არაძალადობრივი სამოქალაქო მოძრაობის გარშემო გაერთიანდა, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, 1 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

დემონსტრაციების დროს, მომიტინგეებმა წარმოადგინეს 5 ძირითადი მოთხოვნა: ისინი მოითხოვენ პოლიციის სისასტიკის დამოუკიდებელ გამოძიებას, დაპატიმრებული მომიტინგეების გათავისუფლებას, საპროტესტო გამოსვლების ოფიციალური სახელწოდების - „ამბოხის“ გაუქმებას, საკანონმდებლო საბჭოს წევრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის პირდაპირ არჩევნებს, კერი ლამის გადაყენებას. (Radio free Asia, 2019).

საინტერესოა ვისაუბროთ იმაზეც, იყო თუ არა ეს პროტესტი სრულიად მშვიდობიანი. ოფიციალური მონაცემებით, ექსტრადაციის კანონის წინააღმდეგ გამოსვლები სრულიად მშვიდობიანი არ აღმოჩნდა. ფიქსირდება გარკვეული შეტაკებები სამოქალაქო საზოგადოებასა და ძალოვან სტრუქტურებს შორის. (მაგალითისთვის, პოლიციელებზე თავდასხმა, სამთავრობო დანესებულებებში შეჭრის მცდელობა, დაპირისპირება სხვადასხვა მხარეს შორის)

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ როგორი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იყო ჰონგ-კონგში ამ პერიოდში?

2020 წლის დასაწყისში, როცა დედამიწაზე თავს ახალი ეპიდემია გაჩნდა, ჰონგ-კონგში, სადაც 7,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მხოლოდ 150-მდე შემთხვევა იყო თავდაპირველად დაფიქსირებული. მკაცრმა ე.წ. „ლოქდაუნმა“ და სხვადასხვა

რეგულაციებმა რეგიონში ეპიდსიტუაცია საკმაოდ დაასტაბილურა და სამართავი გახდა. თუმცა საზოგადოების მღელვარება ექსტრადირების კანონპროექტთან დაკავშირებით არ ცხრებოდა. არაძალადობრივ წინააღმდეგობრივ მოძრაობას ავტონომიის მხრიდან დაწესებულმა რეგულაციებმა ხელი ვერ შეუშალა და როგორც კი, კოვიდვითარება ოდნავ გაუმჯობესდა, ჰონგ-კონგის ქუჩები კვლავ საპროტესტო მუხტმა მოიცვა. ამას დაემატა ისიც, რომ მთავრობის მხრიდან დაიწყო რეგულაციების ეტაპობრივი შემსუბუქება, რამაც, მოკლე პერიოდში, საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოიტანა. მაგალითისთვის, ამ პერიოდში, კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობა 10000-ს გადასცდა, თანაც საკმაოდ მოკლე პერიოდში, რაც ჰონგ-კონგისთვის საკმაოდ დიდ დარტყმას წარმოადგენდა, მითუმეტეს იმის ფონზე, როცა არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა კვლავ არ წყდებოდა. (ადამია, 2020).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული რეგულაციებისა, ჰონგ-კონგში არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა მეტ-ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა პროტესტის მონაწილეებისთვის, ვინაიდან კანონი ექსტრადირების შესახებ ავტონომიურმა მთავრობამ გაიწვია. კერი ლამმა ტელევიზიით 2019 წლის 4 სექტემბერს გამოაცხადა, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად აგზავნის ექსტრადიციის კანონპროექტს ნაგვისყუთში. (რუხაძე, 2019).

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა ეფექტური და წარმატებული აღმოჩნდა ჰონგ-კონგის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. ფართომასშტაბიან გამოსვლებს უშედეგოდ არ ჩაუვლია, ჰონგ-კონგელებმა აღკვეთეს ექსტრადირების კანონის მიღება, რაც, მათი აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ავტონომიურ დამოუკიდებლობას. (BBC, 2019).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2019 წლის 9 ივნისის საპროტესტო აქციის ორგანიზატორი, რომელიც გახდა პროტესტების დაწყების სიმბოლო ექსტრადიციის შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ, იყო *ადამიანის უფლებათა სამოქალაქო ფრონტი* (Civil Human Rights Front), რომელმაც 2020 წლის 9 ივნისის საპროტესტო გამოსვლების საიუბილეო თარიღზე გამოაქვეყნა Facebook-ზე თავისიხედევა, თუ რა იყო ეს საპროტესტო გამოსვლები, სად რას საუბრობენ მის შესახებ. როგორც ამბობენ, საპროტესტო აქციები მთელი ქვეყნის გაღვიძება იყო 2014 წლის „ქოლგების რევოლუციისა“ და სტაგნაციის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ჯერ შეჩერდა, შემდეგ კი გაუქმდა, მომიტიზაცებმა სერიოზული ზიანი მიიღეს მთავრობისა და პოლიციის მხრიდან და განიცადეს „ფსიქოლოგიური ტრავმა. მაგრამ 2019 წლის 9 ივნისი გახდა დღე, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჰონგ-კონგის მოქალაქეთა მეხსიერებაში, როგორც „ხალხის გაერთიანება ჩვენი საყვარელი ქალაქის დასაცავად.“ (Ho, 2020).

დასკვნა

მას შემდეგ, რაც 2020 წელს დედამიწას ახალი პანდემია დაატყდა თავს კოვიდ 19-ის სახით, სახელმწიფოთა მხრიდან დაწესებულმა რეგულაციებმა და სხვადასხვა შემზღვევებმა ერთი მხრივ, არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მთელი რიგი წყაროებისა და კონკრეტული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არაძალადობრივმა სამოქალაქო პროტესტმა მაინც გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები, ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, როცა ეპიდემიისგან გადარჩენისთვის მნიშვნელოვანი იყო სოციალური დისტანციის დაცვა და მასობრივი შეკრებებისგან თავის არიდება.

აშშ-სა და ჰონგ-კონგის მაგალითები წარმოაჩენს არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის მნიშვნელობასა და განვითარების ტენდენციებს. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ აშშ-სა და ჰონგ-კონგში მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება იყო. კონკრეტულად, ორივე სახელმწიფოში კოვიდინფიცირებულთა რიცხვი საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს აღწევდა და ამის ფონზე მოქმედებდა ისეთი რეგულაციები, როგორცაა: სოციალური დისტანციის დაცვა, ფართომასშტაბიანი ღონისძიებების აკრძალვა და სხვა. მიუხედავად კოვიდრეგულაციებისა, არაძალადობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას თავისი მუხტი და მნიშვნელობა არ დაუკარგავს, სამოქალაქო საზოგადოებამ მაინც შეძლო საკუთარი სიტყვის დაფიქსირება. (მართალია, ორივე სახელმწიფოში იყო გარკვეული გადაცდომები და ძალადობის შემთხვევები, თუმცა იგი მაინც ითვლება მშვიდობიანად). აშშ-ის შემთხვევაში ეს იყო ანტირასისტული გამოსვლები ჯორჯ ფლოიდის საქმესთან დაკავშირებით, ხოლო ჰონგ-კონგის შემთხვევაში გამოსვლები შეეხებოდა ექსტრადაციის კანონს, რომელიც ჰონგ-კონგის ავტონომიურობასა და თავისუფლებას საფრთხის ქვეშ აყენებდა.

არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის ორივე შემთხვევა საკმაოდ კომპლექსური და სპეციფიკურია, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ორივე მათგანმა კონკრეტული, სამოქალაქო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: აშშ-ში დაისაჯა ჯორჯ ფლოიდის მკვლელი სამართალდამცველი, ხოლო ჰონგ-კონგში ექსტრადაციის კანონი განწვეული და გაუქმებული იქნა ავტონომიური მთავრობის მიერ.

ამ ყველაფერიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წლებში არაძალადობრივი წინააღმდეგობა მართლაც შედეგიანი და ეფექტური აღმოჩნდა, მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ მშვიდობიან სამოქალაქო პროტესტს მომავალი მართლაც გააჩნია და დიდი ალბათობით მას წინ ვერაფერი აღუდგება.

ბიბლიოგრაფია

ადამია, მ. ((2020). რატომ აფეთქდა ინფექცია ხელახლა ჰონგ-კონგში?

<https://bm.ge/ka/article/cnn-ratom-afetqda-infeqcia-xelaxla-hong-kongshi-/52302>

ბურდული, ნ. (2020). ჩინეთმა ჰონგ კონგის ავტონომიის შეზღუდვა დაიწყო.

<https://netgazeti.ge/news/456254>

რუხაძე, თ. (2020). ჰონგ კონგის მთავრობამ ექსტრადაციის შესახებ სადავო კანონი

ოფიციალურად განვია. <https://1tv.ge/news/honk-kongis-mtavrobam-egstradaciis-shesakheb->

[sadavo-kanoni-oficialurad-gamoiwvia](https://1tv.ge/news/honk-kongis-mtavrobam-egstradaciis-shesakheb-sadavo-kanoni-oficialurad-gamoiwvia)

BBC. (2019). Hong Kong extradition protests: Government suspends bill.

<https://www.bbc.com/news/world-asia-china-48645342?fbclid=IwAR23ngd-YKiSLKkqg->

[Mal8npskLnv5oLpO7ApuQuPQO7-8-nly8CuJMjEjc](https://www.bbc.com/news/world-asia-china-48645342?fbclid=IwAR23ngd-YKiSLKkqg-Mal8npskLnv5oLpO7ApuQuPQO7-8-nly8CuJMjEjc)

Chenoweth, E. (2020). The future of nonviolent resistance.

<https://www.journalofdemocracy.org/articles/the-future-of-nonviolent-resistance-2>

Chenoweth, E & Stephan, J, M. (2008). Why civil resistance works.

https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/IS3301_pp007-

[044_Stephan_Chenoweth.pdf](https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/IS3301_pp007-044_Stephan_Chenoweth.pdf)

Dave, P. (2020). Factbox: What changes are governments making in response to George Floyd protests?

<https://www.reuters.com/article/us-minneapolis-police-protests-response-idUSKBN23101D>

Dear, J. (2012). The facts are in: Nonviolent resistance works.

<https://www.ncronline.org/blogs/road-peace/facts-are-nonviolent-resistance-works>

Ho, K. (2020). Hong Kong's Carrie Lam says 'everyone has to learn a lesson', a year after 'million-

strong' protest. [https://hongkongfp.com/2020/06/09/hong-kongs-carrie-lam-says-everyone-has-to-](https://hongkongfp.com/2020/06/09/hong-kongs-carrie-lam-says-everyone-has-to-learn-a-lesson-a-year-after-million-strong-protest)

[learn-a-lesson-a-year-after-million-strong-protest](https://hongkongfp.com/2020/06/09/hong-kongs-carrie-lam-says-everyone-has-to-learn-a-lesson-a-year-after-million-strong-protest)

Pinckney, J & Rivers, M. (2020). Nonviolent action in the time of Coronavirus.

<https://www.usip.org/publications/2020/03/nonviolent-action-time-coronavirus>

Radio free Asia. (2019). Police in Central Hong Kong stop, search subway passengers ahead of vote.

<https://www.rfa.org/english/news/china/search-06112019114440.html>

US crisis monitor. (2020). Demonstrations & political violence in America: new data for summer

2020. <https://acleddata.com/2020/09/03/demonstrations-political-violence-in-america-new-data->

[for-summer-2020](https://acleddata.com/2020/09/03/demonstrations-political-violence-in-america-new-data-for-summer-2020)

Merriman, H & Bartkowski, M (2020) Civil Resistance, Oxford bibliographies.

https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199743292/obo-9780199743292-0194.xml?fbclid=IwAR158diOeV8UcRyM8_kHIIDXp7HAUYy7QU4T4zkhetxCDWcgfAZH1der1DQ